ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2018 წელი, 14 ოქტომბერი, №17 (6478)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი



## სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულენო!

*მრავალი ღირსშესანიშნავი სიწმინდე და ისტორიული ძეგლი გვაქვს, მაგრამ ჩვენს დედაეკლესიას – სვეტიცხოველს, თითოეული ჩვენთაგანისათვის, განსაკუთრებულად მიმზიდველი და ცხოველსმყოფელი ძალა აქვს. საქართველოში დღემდე შემორჩენილ ტაძართა შორის, ის ყველაზე უძვირფასესი და უმთავრესი ისტორიული ნაგებობაა და საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა და კვლავაც წარმოადგენს ჩვენი „ღვთივკურთხეული ქართველი ერის“ სარწმუნოებრივ ცენტრს.*

*ტაძარი თავისი სიწმინდეებით, ისტორიითა თუ არქიტექტურული სიდიადით, ბევრს ხიბლავს დღესაც და, ამიტომაც, მას მუდამ უამრავი მომლოცველი, დამთვალიერებელი, თუ უცხოელი სტუმარი ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მცხეთაში ჩასვლისთანავე არავის ძალუძს, რომ მას გულგრილად შეხედოს, ან ჩაუაროს...*

*„ამ ტაძრისათვის თვალის შევლება ყოველ დროში სანუკველია, – წერდა ქართველი მწერალი – კონსტანტინე გამსახურდია თავის „დიდოსტატის მარჯვენაში“, – დილით ხვლიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გამუქებული, შეღამებისას – ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუმე ჰარმონიით აღვსილი ხაზების ზესწრაფვა...*

*დგას ამაყად „ცაში ატყორცნილი ლოდების სიმფონია“ და ყველა თვალის შევლებისას გვახარებს და აღგვაფრთოვანებს“...*

*სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის განსაკუთრებულობაზე და გამორჩეულობაზე, მის დიდ სიწმინდეზე, უფლის კვართხზე, სვეტი-ცხოველის სასწაულებზე და თავად სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე გვესაუბრება, ყვარლის წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის, ჭავჭავაძეანთ საგვარეულო ტაძრის წინამძღვარი – დეკანოზი ბენიამინი (ჩიხორლიშვილი).*

**– მამაო, რას გვეტყვით სვეტიცხოვლობის დღესასწაულის შესახებ?**

– მცხეთობა, სვეტიცხოვლობა ქართველთათვის უდიდესი ეროვნული და საეკლესიო დღესასწაულია, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებულად აღინიშნებოდა. ისტორიულად ამ დღეს, 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის ტაძრის ღვთისმსახურებაზე მომლოცველები ქვეყნის ყველა კუთხიდან სტუმრობდნენ, მოდიოდნენ საკლავითა და უსისხლო შესაწირავით. წირვის შემდეგ ტაძრის გალავანში იშლებოდა სუფრა, იმართებოდა პურობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მცხეთობის დღესასწაულის საზეიმოდ აღნიშვნის ტრადიცია აღდგა და ოფიციალურ უქმე დღედ გამოცხადდა.

ამ დღესასწაულის ღვთისმსახურებაზე სხვადასხვა ეპარქიებიდან მობრძანდებიან მღვდელმთავრები, მღვდლები, ბერ-მონაზვნები და მრევლი, რათა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად, ერთობლივი ლოცვით, შეავედრონ უფალს ქართველი ერი.

ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია II ხშირად ამბობს: „სვეტიცხოველი პირველი ტაძარიაო“. მას ყოველთვის უხარია აქ მოსვლა და ღვთისმსახურების აღვლენა. მისი სიხარული განსაკუთრებულია სვეტიცხოვლობას, რადგანაც ამ დღეს, მისი უწმინდესობა ხედავს ერთად შეკრებილ მლოცველ ერს.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



## ბალღოჯიანელებმა 100 წლის იუბილე იზეიმეს



გრანდიოზულად აღინიშნა 7 ოქტომბერს, სოფელ ბალღოჯიანის დაარსებიდან 100 წლის იუბილე. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია და პირადად მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი როსტომ სესიაშვილი, რომლის ძალისხმევით დღესასწაულმა ცივილური, გამორჩეული და მასშტაბური სახე მიიღო.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, როსტომ სესიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას, ადგილობრივ მოსახლეობასა და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა და მიულოცა სოფლის დაარსებიდან 100 წლის იუბილე. ბალღოჯიანელებს, ეკონომიკური აღმავლობა და დასახული მიზნების წარმატებით განხორციელება უსურვა. ამასთანავე, აღნიშნა, რომ უმოკლეს პერიოდში დასრულდება, სოფელთან დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოები.



ამ დღესასწაულს მიეძღვნა კონცერტი, მომღერალ ნინი ბადურაშვილისა და ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით.

საფეხბურთო მატჩში მონაწილე გუნდებს გადაეცათ თასი და ფულადი პრიზები. მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ადგილობრივი მარნის „ასადელის“ ღვინოები და დაეთვალიერებინათ სოფლის ისტორიის ამსახველი ფოტოების გამოფენა.

დღესასწაულს ესწრებოდნენ, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ქევხიშვილი და ლაგოდეხისა და საქართველოს პარლამენტის ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

## ღვარცოფები, მათი პროგნოზირება და მართვა – ტექნიკური უნივერსიტეტი აქტუალურ პრობლემას საერთაშორისო კონფერენციით ეხმიანება

ღვარცოფული პროცესების პროგნოზირება, მონიტორინგი, რისკების შეფასება და მართვა პლანეტის პრობლემურ საკითხთა ნუსხაშია. აღნიშნულ თემატიკას, რაც ჩვენი ქვეყნისთვისაც განსაკუთრებულად აქტუალურია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით, საერთაშორისო კონფერენცია მიეძღვნა, სახელწოდებით – „ღვარცოფები: კატასტროფები, რისკი, პროგნოზი, დაცვა“.

ხუთდღიან საერთაშორსო კონფერენციას, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში გაიხსნა, პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, 22 ქვეყნის 200-მდე მეცნიერი და მკვლევარი შეუერთდა, მათ შორის UNESCO-ს ექსპერტებიც. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სამთავრობო უწყებების – რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროების, ასევე, საქართველოს მთავრობასთან არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები.

სტუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა ყურადღება გაამახვილა კონფერენციის საერთაშორისო მნიშვნელობასა და იმ გამოწვევებზე, რაც მსოფლიო საზოგადოების წინაშე ღვარცოფული კატასტროფების მართვისა და პროგნოზირების კუთხით დგას.

„ღვარცოფული პრობლემები გლობალურია და ჩვენს ქვეყანასაც ეხება. შესაბამისად, ახალი მეთოდები და ტექნოლოგიები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. კონფერენციაზე სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები განიხილავენ და ახლებურად გაიაზრებენ იმ რისკებსა და პროგნოზებს, რაც ღვარცოფული მოვლენების თანმდევია და ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებასა და ინფორმაციას რისკების მართვის უახლეს სისტემებზე. ეს კი უდავოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო მასშტაბით. ამ მიმართულებით საქართველოში მე-19 საუკუნიდან მიმდინარეობს კვლევები, შეიქმნა არაერთი ინსტიტუტი, მათ შორის წყალთა მეურნეობის და ჰიდრომეტეოროლოგიის. ისინი მრავალი წელია შეისწავლიან ამ პრობლემებს და საერთაშორისო თანამშრომლობის დიდი გამოცდილება დააგროვეს. ეს შეხვედრა გვაძლევს შესაძლებლობას, საქართველო კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო კვლევებში და დაამყაროს ახალი სამეცნიერო და კვლევითი კონტაქტები“, – აღნიშნა არჩილ ფრანგიშვილმა.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შალვა ხუციშვილმა აღნიშნა, მისი სამსახურისთვის მნიშვნელოვანია კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

„ღვარცოფები და მათგან მომდინარე პრობლემები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რისკების შკალაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობა და მკვლევარების ჩართვა საგანგებო სიტუაციების მართვაში. მითუმეტეს, რომ ახალი კანონმდებლობა ითვალისწინებს სამსახურის საქმიანობაში სამეცნიერო წრეების ჩართულობასა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნას. იმედი გვაქვს, რომ ამ ხუთი დღის მანძილზე და შემდეგაც, საინტერესო სამუშაო გველის“, – განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე



# სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ქვირფასო თანამემამულენო!



დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

სვეტიცხოვლობას მეორენაირად კვართობის დღესასწაულსაც უწოდებენ. უამრავი ლეგენდა, გადმოცემა თუ წერილობითი წყარო არსებობს ქალაქის, ეკლესიისა და აქ დაბრძანებული სიწმინდეების შესახებ, რომელთაგან ყველაზე უმთავრესის – უფლის კვართის გამო – მცხეთას „მეორე იერუსალიმად“ მოიხსენიებენ.

**– უფლის კვართის ამბავი...**

– მაცხოვრის ჯვარცმამდე რამოდენიმე ხნით ადრე, იერუსალიმიდან საქართველოში მცხეთელ ჰურიებთან ჩამოვიდა მოციქული და უთხრათ იესოზე, რომ მოგვებმა, რომლებმაც თაყვანი სცეს ყრმას და ძღვენი შესწირეს – გაიზარდა, თავს ძედ ღვთისად აცხადებს და ახალ სჯულსა ქადაგებსო. სხვადასხვა ქვეყნებში მყოფ ჰურიებთან წარვგზავნეთ მოციქულნი, რომ სჯულისმეცნიერნი ჩამოვიდნენ იერუსალიმში და ბჭობა გავმართოთ მასზეო. მცხეთიდან სინედრიონის კრებაზე ელიოზი და ლონგინოზი წარადგინეს. ელიოზის დედა ელი მღვდელმთავრის ტომიდან იყო. წასვლის წინ სწორედ მან გააფრთხილა ვაჟები, რომ უფლის სისხლის დათხევაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ამასვე ევედრებოდა ელიოზს თავისი და სიდონია.

მაცხოვრის ჯვარცმისას ლურსმნების დაჭედების ხმა მცხეთაში მოისმინა თურმე ელიოზის დედამ და წამოიყვირა: „მშვიდობით, მეუფე ჰურიათაო!“ და მწუხარებისგან მყის აღესრულა. როცა მაცხოვრის სამოსელი განიყვეს და მის კვართზე წილი ჰყრეს, ღვთის განგებულებით, ის მცხეთელ ებრაელებს ერგოთ. ელიოზმა და ლონგინოზმა საუფლო კვართი მცხეთაში წამოასვენეს. სიდონია მათ ტირილით შეეგებათ ქალაქის კარიბჭესთან, ჩაიკრა მკერდში „ყოველთა სასურველი კვართი მხსნელისა“ და მოისმინა რა ძმისაგან იესოს ვნებისა და ჯვარცმის ამბავი, სულიც განუტევა.

ეს ამბავი მთელ მცხეთას მოედო. მიცვალებული მეფე ადრეკს უნახავს და კვართი მოსწონებია. ბევრი უცდიათ დედა სიდონიასთვის კვართი გამოერთმიათ, მაგრამ ამაოდ, ვერანაირად ვერ გამოაცალეს იგი ხელიდან და გადაწყვიტეს კვართიანად დაესაფლავებინათ, მაგრამ კიდევ ერთი სასწაულის წინაშე აღმოჩნდნენ ჰურიები – ადგილიდან ვერ დაძრეს მიცვალებული. ცოტა ხნის შემდეგ მიწა გაიპო და სიდონია კვართიანად შთაინთქა. ასე დაივანა ამ უდიდესმა სიწმინდემ საქართველოში.

**– ცნობილია სვეტიცხოვლის ტაძარი მრავალ სიწმინდეს ფლობდა, კონკრეტულად?..**

– სვეტიცხოვლის ტაძარი, პირველ რიგში, თავად გახლავთ დიდი სიწმინდე, რომელიც ძველი და ახალი აღთქმის ორი უდიდესი სიწმინდის – წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალენისა (მოსასხამისა) და უფლის „ზეითგამო ნაქსოვი“ კვართის „ურთიერთშეყრის“ ადგილზეა აგებული და მას აგვირგვინებს ღვთივბრწყინვალე და მირონმდინარე სვეტი-ცხოველი. წმინდა მამებისა და თეოლოგების აზრით, სვეტიცხოველთან დაკავშირებით სწორედ ამ სამ უმთავრეს სიწმინდეს ვიხილავთ: სვეტი-ცხოველს, უფლის კვართს და სვეტიცხოვლის ტაძარს.

სვეტი-ცხოველს მოიაზრებენ, როგორც „ძველი დღის უფალს“, ანუ მამა ღმერთს, ხოლო უფლის კვართს – ძე ღმერთად. რადგან სვეტიცხოვლის ტაძარი უფლის კვართზე დგას, ისევე როგორც იერუსალიმის აღდგომის ეკლესია – უფლის საფლავზე, ამიტომ სვეტიცხოვლის ტაძარს განიხილავენ როგორც აღდგომის ტაძარს და კიდევ, როგორც თვით ღვთისმშობელს: „ როგორც ღვთისმშობელი ცხრა თვე ატარებდა უფალ იესო ქრისტეს თავისი მუცლით, ასევე სვეტიცხოვლის ტაძარი სულიერი ზეცის განსახიერებაა და ამავე დროს არის შემაერთებელი მიწისა და ცისა“, – წერდა წმინდა თამარ მეფის დროინდელი კათოლიკოსი – ნიკოლოზ გულაბერიძე.

ეხლა რაც შეეხება უფლის კვართს: ძველი აღქმის მღვდელს ეფოდთან (წამოსასხამისა და სხვა სამღვდელო შესამოსელთან ერთად) აუცილებლად უნდა სცმოდა ნაქსოვი კვართიც. ეს იცოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა და ამიტომაც, ჯერ კიდევ ყრმა იესოს, მომავალ „მღვდელმთავარს წესსა ზედა მელქისედეკისასა“, კვართი მოუქსოვა. „ხოლო კვართი იგი იყო უკერველ, ზეით გამოქსოილ ყოვლად“. გადიოდა ხანი, „წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა“ იესო და მასთან ერთად, სასწაულებრივად იზრდებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნაქსოვი კვართიც, რომელსაცა „ნეტარებით შეეცვა ნათელთა ყოველთა მფლობელი გვამი“ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. გადმოცემის თანახმად მაცხოვრის კვართი მოკლე სახელოიანი, განიერი გრძელი ყოფილა, მანტიის მსგავსი. მოკლე სახელოიანი კვართია გამოსახული ბაგრატიონთა გერბზეც. რისგან იყო იგი მოქსოვილი – ეს უცნობია. ერთი კია, რომ იყო ლაჟვარდისფერი. ამ ნეტარმა შესამოსელმა, როგორც ღრუბელმა, შეიწოვა ოფლი, სისხლი და ცრემლი, რომელიც კაცთა მოდგმის ხსნისათვის დაღვარა მაცხოვარმა.

სვეტი-ცხოველი კი – უფლის კვართია და წმინდა სიდონიას საფლავზე ამოსული კვიპაროსი სამი ასწლეულის მანძილზე იდგა, როგორც ბეჭედი უდიდესი სიწმინდისა.

მცხეთის მაცხოვრებლებმა შეამჩნიეს, რომ სნეული ჩიტები მიფრინდებოდნენ ხესთან, სხდებოდნენ ტოტებზე, კენკავდნენ წიწვებს და იკურნებოდნენ. იკურნებოდნენ გარეული ცხოველებიც, რომლებიც მოდიოდნენ ამ ხესთან და ჭამდნენ ჩამოცვენილ წიწვებს. გავიდა საუკუნეები, ხალხს დაავიწყდა ქრისტეს კვართი და წმინდა სიდონიას საფლავი, მაგრამ თვით კვიპაროსს კი კვლავ თაყვანს სცემდნენ.

წმინდა ნინომაც გამოსცადა თავის თავზე ამ კვიპაროსის განმკურნებელი და სასწაულთმოქმედი ძალა. ამიტომ მირიან მეფეს ურჩია, სწორედ ამ კვიპაროსის ადგილას აეგო ქრისტიანული ტაძარი. მრავალი სასწაულის მხილველი წმინდა ნინო ფიქრობდა, რომ შესაძლოა სწორედ აქ იყოსო უფლის კვართი დაფლული.

წმინდა მირიან მეფემ დაუჯერა წმინდა ნინოს: მოაჭრევინა კვიპაროსი და მისგან შვიდი სვეტი გამოათლევინა, რადგანაც სურდა მცხეთის ტაძარი ისევე ყოფილიყო აგებული შვიდ სვეტზე, როგორც წმინდა სოლომონის ტაძარი. ექვსი სვეტი აღმართეს, მეშვიდე კი ადგილიდან ვერ დაძრეს. დადარდიანებული მეფე მირიანი გვიან ღამით დაბრუნდა სასახლეში, ხოლო წმინდა ნინო და მისი სულიერი დები მთელი ღამე ლოცულობდნენ. გათენებისას ყველას ეძინა წმინდა ნინოს გარდა. უეცრად მის წინ საოცრად დიდი ნათელი დაეცა, რამაც ზევით ააწევინა თავი. წმინდა ნინომ იხილა უფლის ანგელოზი მთლიანად გაბრწყინვებული ახალგაზრდა კაცის სახით, რომელმაც სამი სიტყვა უთხრა გაოცებულ და შეცბუნებულ ქალწულს, მერე კი ხელი მოჰკიდა სვეტს და ჰაერში გააჩერა იგი ხის გადანაჭერის პირდაპირ. ჯერჯერობით არ ვიცით, თუ რა უთხრა ანგელოზმა წმინდა ნინოს, მაგრამ თავის დროზე ეს სამი სიტყვაც ალბათ გაცხადდება, რადგან უფალმა გვასწავლა: არ არსებობს დაფარული, რომელიც არ გაცხადდესო.

სვეტი ცეცხლის ენას დაემსგავსა, რომელსაც თავზე შვიდი ვარსკვლავით გაბრწყინებული სამეფო გვირგვინი დაედგა, ქვემოდან კი სურნელოვანი მირონი სდიოდა. დილად მცხეთის ყველა მცხოვრებმა, მათ შორის მეფე მირიანმაც, სამეფო ბაღში იხილა მოგიზგიზე სვეტი. ყველა სირბილით გაეშურა ბაღისაკენ, რადგან ხანძარი ეგონათ. ადგილზე მისულებმა მუხლი მოიყარეს ჰაერში თავისით ჩამოკიდებული (ანგელოზს, წმინდა ნინოს გარდა, სხვა ვერავინ ხედავდა) მირონმდინარე სვეტის წინაშე. ამ მირონს ყველანაირი სენის განკურნების უნარი აღმოაჩნდა და ვინც მას რწმენით იცხებდა მტკივნეულ ადგილას, ყველა იკურნებოდა. მემატიანეს სიტყვებით, როცა მცხეთის ყველა მორწმუნე ავადმყოფი განიკურნა, სვეტი ნელ-ნელა დაეშვა თავის გადანაჭერზე და ისე შეუერთდა მას, თითქოს არასოდეს ყოფილა მისგან დაშორებული.

ამდენი სასწაულის მხილველმა ხალხმა ამ სვეტს „ცოცხალი“ სვეტი, ანუ „სვეტი-ცხოველი“ უწოდა.

სვეტიცხოვლის ძველი აღთქმის სიწმინდეა – წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალენი (ზემოდან მოსაცმელი). იგი ინახება სვეტიცხოვლის ტაძრის ძირითადი საკურთხევლის გვერდით, წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის მცირე საკურთხეველში. ეს ხალენი ცეცხლოვანი ეტლიდან გადმოუგდო წმინდა ელია წინასწარმეტყველმა თავის მოწაფეს – წმ. ელისეს. საუკუნეების განმავლობაში ეს წმინდა მოსასხამი გადიოდა ყველაზე მორწმუნე ებრაელის ხელში. ძველი წელთაღრიცხვის 586 წელს, როცა ნაბუქოდონოსორისაგან დარბეულ ებრაელთა ერთი ნაკადი საქართველოში შემოვიდა, თან შემოიტანა ეს ხალენიც და დაფლეს სწორედ იმ ადგილზე, სადაც ამჟამადაა. გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფე ფარნავაზს შემოუზღუდავს ეს ადგილი.

წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის საკურთხევლის სალოცავში არის „იაკობის ჭის“ სახელით ცნობილი ჭა, რომლის წყალი კურნების დიდი მადლის მატარებელი იყო მორწმუნეთათვის. ამჟამად იქ წყალი აღარ არის, ძალიან ღრმა ჭაბურღილია და ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ჭის ძირში უნდა იყოს დაფლული წმინდა ელიას ხალენი.

სვეტი-ცხოველსა და პატრიარქის ტახტს შორის, სვეტიცხოვლის კედელზე იყო მიდგმული უფლის შობის ადგილის – ბეთლემის გამოქვაბულის შავი მარმარილოს მაკეტი. 4-5 წლის წინ ამ მაკეტში სვეტი-ცხოვლიდან მირონმა დაიწყო დენა. ამჟამად, სვეტი-ცხოვლის ტაძრის რეკონსტრუქციის გამო, ბეთლემის გამოქვაბულის მაკეტი საერთოდ აღარ არის.

სვეტიცხოვლის ტაძარში დგას პატარა ტაძარი, რომელიც არის ქრისტეს საფლავის ტაძრის ასლი და ზუსტად შეესაბამება იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის ტაძარს. ეს ტაძარი სვეტიცხოვლის ტაძარში აუშენებიათ IV საუკუნეში.

XX საუკუნის დასაწყისიდან სვეტიცხოვლის სიწმინდე გახდა ძელი ცხოველიც, ანუ ჯვარი პატიოსანი – ერთ-ერთი იმ ოთხ ჯვართაგანი, რომლებიც წმინდა ნინომ სასწაულმოქმედი ხისაგან შეაქმნევინა. ადრე, თემურ ლენგის შემოსევამდე, იგი მცხეთის ჯვრის მონასტერში ბრძანდებოდა. ამჟამად ის დაბრძანებულია ტაძრის ჩრდილოეთ კედლის შუა, ამაღლებულ ადგილას. ამ სასწაულმოქმედ ჯვარს, რომლის მიმართაც განსაკუთრებით უშვილოებს ჰქონდათ სასოება, 2004 წლის 16 თებერვალს მირონი გადმოდინდა. პატრიარქის კურთხევით, იგი მინანქრული ხატებით გაამშვენეს. მასში ჩატანებულია ძელი-ცხოვლისა და წმინდა ნინოს ჯვრის ნაწილები.

სვეტიცხოვლის ტაძრის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე იყო აგრეთვე – საქადაგო ხატი სვეტი-ცხოველისა. ეს არის კარედში ჩაბრძანებული სვეტი-ცხოვლის 36X17 სმ. კვადრატი ზომის ჭედური გამოსახულება. კარედის გვერდებზე გამოსახულნი არიან წმინდა ნინო და წმინდა მირიან მეფე. კარედის ზემოთა ნაწილი მოოქროვილია. მასზე გამოსახულია კუბოში მწოლიარე წმინდა სიდონია, მის მკერდზე კი აღმართულია სვეტი, რომელიც ანგელოზებს უპყრიათ ხელთ. სიდონიას ფერხთით გამოსახულია მლოცველი წმინდა ნინო, ხოლო ზემოთ – ორივე ხელით მაკურთხებელი მაცხოვარი. ხატში 44 წმინდა ნაწილი ყოფილა ჩატანებული. ის ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

სვეტიცხოვლის ტაძრის კანკელის მარჯვენა ფრთაში მოთავსებულ კიოტში დაცული იყო „მრავალწმინდანაწილიანი ხატი“, რომლის სიმაღლე იყო 60 სმ, ხოლო სიგანე – 48 სმ. ხატის ჩარჩოს ამშვენებდა მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტები. ასევე ფირფიტებით ხატი დანაწევრებული ყოფილა მცირე ზომის უჯრებად, რომლებშიც ჩაბრძანებული გახლდათ წმინდა ნაწილები. თითოეულ უჯრას გააჩნდა ხუცური ანბანით შესრულებული სათანადო წარწერა, რომელიც გვამცნობდა, თუ რომელი წმინდანის ნაწილი იყო მასში ჩასვენებული. სულ 88 უჯრა ჰქონდა ხატს და მათში, გარდა ცნობილ წმინდანთა ნაწილებისა, ჩასვენებული იყო შემდეგი სიწმინდეებიც: წმინდა ნინოს ჯვრის წმინდა ნაჭერი, სვეტიცხოვლის ხე, წმ. მოსეს კვერთხის ხე, წმ. ამბროსის პერანგის ძაფი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის თმა, ძელი ქრისტესი, ღრუბელი ქრისტესი, სისხლი ქრისტესი, თოკი ქრისტესი, ქვა ქრისტეს საფლავისა, წმ. იოანე მახარებლის ქვა, ზედ რომ იჯდა, წმ. ზაქარიას ტყავი და სხვა.

„მრავალწმინდანაწილიანი“ ეს ხატი ამჟამად დაკარგულად ითვლება. სვეტიცხოვლის ტაძარში განისვენებენ წმინდა მეფეთა – ვახტანგ გორგასლისა და დემეტრე თავდადებულის წმინდა ნეშთები, ხოლო წმინდა ევსტათის წმინდა ნეშთი კი, პატივითა და დიდებით არის დაკრძალული სვეტიცხოვლის დიდი ტრაპეზის ქვეშ. აგრეთვე წმ. სიდონია, ვინც უფლის კვართი გულში ჩაიკრა, განისვენებს კვართით ხელში სვეტის ადგილას.

ყველა ამ და სხვა სიწმინდეების გამო მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი ადგილია არა მარტო ქართველთათვის, არამედ მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის.

**– კიდევ რითია გამორჩეული და განსაკუთრებული სვეტიცხოვლის ტაძარი?**

– სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ეკლესიის ავტოკეფალურობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი – წმინდა მირონი მზადდება, ეკურთხებიან კათოლიკოს-პატრიარქნი, მღვდელმთავარნი...

სვეტიცხოველი ჩვენი ქვით ნაგები „ბიბლიაა“, რომლის „ხუროთმოძღვრული სხეულის“ „კვართი“ (არქიტექტურა, ფერწერა და სხვა) საუკუნეთა მანძილზე იქსოვებოდა და მოიქსოვება უფლის მეორედ მოსვლამდე, რადგან ეკლესიის გარდამოცემითა და წერილობითი წყაროების უწყებით, მისი ეს სიწმინდეები ძველი და ახალი აღქმისა, მაცხოვრის მეორედ მოსვლისას გაცხადდებიან.

წმ. წინასწარმეტყველი ელია აპოკალიფსურ ხანაში დაბრუნდება, რათა ამხილოს ანტიქრისტე, ხოლო წმინდა სიდონია კი, ელიოზის და, მეორედ მოსვლისას ღვთის წინაშე კვართით ხელში წარსდგება, ხოლო ჩვენ კი იმ პატივით, რაც ამ სიწმინდეებს მივაგებთ.

სვეტიცხოვლის ტაძარი ქართველ მეფეთა საძვალეცაა და ამდენად იგი ჩვენი ისტორიის ღერძია, ჩვენი „მიწიერი სამოთხის“ – საქართველოს ცენტრი, ხოლო ჩვენ კი, ქართველნი – კვართის მცველად „განწყობილი“ ლაშქარი...

სვეტიცხოველი განსაკუთრებულია იმითაც, რომ იგი ყოველთვის იყო და არის საპატრიარქო ტაძარი და საქართველოს ეკლესიის მეთაურთა რეზიდენცია. მრავალ ქარტეხილს გაუძლო და, მიუხედავად ამისა, ის მაინც დგას ამაყად, მთელი თავისი დიდებულებით, „როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“, როგორც ქართული ეკლესიის სულიერი სიძლიერის, ერთიანობისა და გაუტეხელობის სიმბოლო.

**– რა სასწაულებს უკავშირებენ სვეტიცხოველს?**

– სვეტიცხოველს უამრავი სასწაული მოუხდენია, მინდა მათგან რამდენიმე განსაკუთრებულის შესახებ მოგითხროთ.

სვეტიცხოვლის ყველაზე დიდი სასწაული მირონმდინარე ცეცხლის სვეტად გამოჩინება იყო. წმინდა მამები მას ადარებენ იმ ცეცხლის სვეტს, რომელიც წინ უძღოდა ებრაელ ერს უდაბნოში 40 წლის ხეტიალის დროს.

კახეთის დედოფალი სუჯი მონათვლის შემდეგ სვეტიცხოვლის მოსალოცად წამოვიდა. არაგვი საშინლად ადიდებული დახვდა. მეორე ნაპირიდან აფრთხილებდნენ სუჯი დედოფალს წყალში არ შესულიყო, რადგან არაგვს იმ დღეს რამდენიმე მხედარი ცხენიანად წაეღო. დედოფალი ცხენიდან ჩამოვიდა, ჩაიმუხლა და მხურვალედ შეევედრა სვეტიცხოველს, რომ მეორე ნაპირზე გადაეყვანა და ღირსი გაეხადა მისი თაყვანისცემისა. პირჯვარი გადაისახა, არაგვსაც ჯვარი გადასახა, ამხედრდა ცხენზე და აბობოქრებულ არაგვში შეაგდო ცხენი. ყველა მხლებელი გაჰყვა და მოხდა სასწაული, რაც მოსეს და ისუ ნავეს დროს აღესრულა. (მოსეს დროს მეწამული ზღვა გაიყო შუაზე და ისე გაიყვანა მშრალზე ებრაელები, ისუ ნავეს დროს – იორდანე) ნათლის სვეტი დაეცა არაგვს, მის ორივე მხარეს ზღუდად აღიმართა მდინარე და ფეხდაუსველებლად გავიდნენ მეორე ნაპირზე. ამ სასწაულის თვითმხილველნი ადიდებდნენ უფალს და სვეტი-ცხოველს.

კაცობრიობის მტერი – სატანა ყველას შეცდენას ცდილობს. ერთხელ, როცა სვეტიცხოვლის ტაძარში წმინდა დავით მეფე ლოცულობდა, ერთი წამის რაღაც მეათასედ ნაწილში ეჭვმა გაჰკრა, ნეტავ მართლა ამ სვეტის ქვეშააო უფლის კვართი?!

წმ. მეფე დავითს ღამე ასეთი ხილვა ჰქონდა: თითქოს სვეტიცხოვლის ტაძარში იყო: სვეტიცხოვლის თავზე იჯდა მოხუცი, მთლიანად გაბრწყინებული „სახელად ძველისა დღეთასა“ (ე.ი. მამაღმერთის მსგავსი), რომელმაც მკაცრად უთხრა დავითს: „დავით! დავით! არაუწყია, თუ ვინა ვარ აქა მე! ესე უწყოდე შენ და ყოველთა: რომელსაც ჩემი მტკიცე რწმენა აქვს, ის არასოდეს არ შერცხვება; მორწმუნე იყავ და არა ურწმუნო, რამეთუ ურწმუნოება სასჯელია თვითონ!“ ძილისაგან გამორკვეული მეფე ზეზე წამოიჭრა და ცხენით მიირბინა სვეტიცხოვლის ტაძარში. ძალიან გაუკვირდა იქ მყოფ იოანე პატრიაქს მეფის ასეთი უდროო მისვლა, ისიც მარტოდმარტო. დავით მეფემ კითხვაზე პასუხი არავის გასცა, სვეტიცხოვლის წინ პირქვე დაემხო და ცრემლების ფრქვევით ევედრებოდა უფალს ამ ცოდვის მიტევებას. მხოლოდ ხანგრძლივი სინანულის ლოცვის შემდეგ უამბო პატრიარქს ყველაფერი და მასაც შეევედრა ელოცა მისთვის.

მეთერთმეტე საუკუნეში, თურქების შემოსევისას, სულთანის მეუღლემ შაჰრი-ხათუნმა დაავალა მონებს, გაეთხარათ სიდონიას საფლავი და მოეტაცათ კვართი უფლისა, მაგრამ საფლავიდან ცეცხლის ალი ამოვარდა და მონები დაწვა, ხოლო სულთანის მეუღლე დააბრმავა.

ვერც თემურ-ლენგი და ვერც შაჰთამაზი ვერ გაკადნიერებულან სიწმინდის ხელყოფად. მხოლოდ შაჰ-აბაზს გაუბედავს და უბრძანებია სვეტი-ცხოველის საძირკვლის გათხრა, მაგრამ მიწიდან ამოვარდნილ ცეცხლს კვლავ დაუწვავს და ფერფლად უქცევია ამ მკრეხელობის ჩამდენნი. შაჰს შეშინებია, ჩამომხდარა, ტაძრისათვის მოკრძალებით შემოუვლია გარს, სვეტის წინ ულოცია და კათოლიკოსისათვის ხელშეუხებლობის გარანტია მიუცია.

სვეტიცხოველთან ჯაჭვით დაბმული ეშმაკეული მოიყვანეს და წმინდა ნინოს ლოცვით განიკურნა.

იმ დღეს, როცა პირველი სასწაული მოახდინა სვეტიცხოველმა, მცხეთის ყველა ოჯახი მეფის ბაღში იყო; მხოლოდ ერთი ებრაელი ოჯახი დასტიროდა ახლადმიცვალებულ ჭაბუკს. დედამ ბოლოს ასე დაიტირა: „ჰოი, ნათელო თვალთა ჩვენთაო, მოვისწრაფოთ ნათლისა მის საკვირველისა ხილვად... აღდეგ თვით მას ნათელსა გაფუცებ და ნათლისა მის მიზეზსა, თავადსა ყოველთა ნათელთაისა“... უეცრად ჭაბუკი გაცოცხლდა და მაშინვე ის იკითხა, სად არისო ის ნათლის სვეტი, რომელმაც მე ჯოჯოხეთიდან ამომიყვანაო. როცა იხილა ნათლის სვეტი, შემოეხვია მკლავებით, მადლობდა მას და უფალს და მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა ხალხს, რომ სწორედ ამ ნათლის სვეტმა ამოიყვანა ჯოჯოხეთიდან, რომლის თავშიც იჯდა ის, ვინც მათმა მამებმა ჯვარს აცვეს და მან მქუხარე ხმით უთხრა ორ მშვენიერ ახალგაზრდას, რომ ეს ჭაბუკი დაებრუნებინათ თავისი მშობლებისათვის, რადგან ძალიან შეეცოდა ისინი მათი სინანულისა და რწმენის გამო. ამის შემდეგ მშობლები, მათი გაცოცხლებული ყრმა და ამ ამბის შემსწრენი მთელი გულით ადიდებდნენ უფალს.

სვეტი-ცხოველი უამრავ სასწაულებს ახდენდა, ყველა ცდილობდა მასთან მიახლოებას. ხალხი ერთმანეთს თელავდა. მაშინ მეფე მირიანმა სვეტს ფიცრის საბურველი შემოახვია, მაგრამ საბურველმა მადლი ვერ დააბრკოლა...

**– და ბოლოს, მამაო, რას უსურვებდით სვეტიცხოვლობას ჩვენს ხალხს?**

– მე მინდა ეს ინტერვიუ ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სიტყვებით დავასრულო: „სვეტიცხოველი არის დიდი და მძლავრი კელაპტარი, რომელიც დაანთეს წმინდა ნინომ და წმინდა მეფე-დედოფალმა – მირიანმა და ნანამ. ეს უდიდესი სიწმინდე სრულიად საქართველოს მოგვიწოდებს: „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“ უდიდეს სიწმინდეთა მფლობელობის გამო კრძალვით უნდა მივეახლოთ ყოველთვის ჩვენს დედაეკლესიას და შევიქმნათ იმ „საზეპურო ერად“, რომელსაც უფალი, ნიშნად დიდი წყალობისა, სვეტი-ცხოველის ძირიდან აღმოუცენებს და უწყაროებს „მირონსა, ვითარცა ღმერთმყოფელსა და ნათელმყოფელსა“.

მადლი „ზეითგამო ნაქსოვისა კვართისა საუფლოისა და სვეტისა ცხოველისა, ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა“, არასოდეს მოჰკლებოდეს ჩვენს ხალხს და სრულიად საქართველოს!

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ესაუბრა ია გიგიაშვილი**

## პ რ ო ე ქ ტ ი — კ ო ნ ც ე ფ ც ი ა

# სასურველია თუ არა ქ. ყვარელში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფორმირება?

მხარეთმცოდნეობის მუზეუმები მსოფლიოს ყოველ ასე თუ ისე განვითარებული ქვეყნის რეგიონთა კულტურული ცხოვრების თანმხლებ, ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული ქვეყნების პროვინციათა ცენტრალურ ქალაქებში კიდევ მრავალ, სხვადასხვა პროფილისა და რანგის, ხშირად სრულიად უნიკალურ სახელმწიფო თუ კერძო მუზეუმებსაც მრავლად ვხვდებით – ბუნებისმეტყველების, ხელოვნების, ამა თუ იმ გამოჩენილი თანამოქალაქისადმი, იმ მხარეში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი, იმ რეგიონში მდებარე კონკრეტული ისტორიული ძეგლებისადმი მიძღვნილს და ა.შ., მაგრამ მუზეუმებს, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი და ტურისტები ამ მხარის ბუნებას, ისტორიასა და ღირშესანიშნაობებს მთლიანობაში, ერთ სივრცეში თავმოყრილად გაადევნებენ თვალს, მაინც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ხოლმე და მათზე მზრუნველობა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მესვეურთა პრესტიჟის საგანს წარმოადგენს.

საქართველოს რაიონულ ცენტრთა უმრავლესობაში (მათ შორის კახეთის რეგიონის რაიონულ ცენტრებში), აღნიშნული ტიპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები რამდენიმე ათწლეულის წინაა დაფუძებული და მეტ-ნაკლებად წარმატებით ფუნქციონირებს. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვაზე რაიონში კულტურული ცხოვრების გამოსაცოცხლებლად, მოსახლეობაც და ჩამოსული ტურისტებიც, მნიშვნელოვანწილად ამ მუზეუმების მდგომარეობის მიხედვით მსჯელობენ. ცხადია, ამ მუზეუმთა ჩამოყალიბებაში, მათ ავ-კარგიანობაში, დიდი როლი ენიჭება კონკრეტულ პიროვნებათა ან რაიონის პატრიოტ მოქალაქეთა ჯგუფის ენთუზიაზმს, განათლებას; რა დასამალია, გვხვდება მეტად უსახურ შენობებში განლაგებული, სრულიად არაპროფესიულად მოწყობილი, „ვალის მოხდის“ მიზნით მოქმედი რაიონული მუზეუმები, თუმცა ბევრია ესთეტიურად საამაყოდ წარმოსაჩენი, საკმაოდ მაღალი სამეცნიერო დონის ექსპოზიციებით და ფონდებით აღჭურვილი ადგილობრივი მუზეუმებიც. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაშიც, საკმაოდ მოკრძალებული ადგილობრივი ბიუჯეტის პირობებშიც კი, საქართველოს რამდენიმე რაიონულ სამხარეთმცოდნეო მუზეუმში გადახალისდა გამოფენების თემატიკა, ექსპოზიციების ხარისხი და მათში მომუშავე, პროფესიონალ კადრებს უკვე აღარ ეთაკილებათ დამთვალიერებელთა მიღება. ცხადია, ასეთი წარმატებული მუზეუმების მონდომებულმა ხელმძღვანელობამ კერძო სექტორიდან თუ არასამთავრობო-საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაც მოიძია საამისო სახსრები (იხ. მაგ., თეთრიწყაროს, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები).

სამწუხაროდ, ყვარლის მუნიციპალიტეტში მხარეთმცოდნეობითი პროფილის მუზეუმი დღემდე არ არსებობს. ამ გარემოებას თავისი ახსნა აქვს: ყვარელი იმდენად ამაყობს უდიდესი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის მშობელი მხარის სახელით, რომ ათწლეულების განმავლობაში აქაურობის პატრიოტთა თითქმის მთელი ინტელექტუალური პოტენციალი ქალაქში ილიას მართლაც შესანიშნავი მუზეუმის შექმნას მოხმარდა. ყვარლის რაიონის სტუმართათვის, გარდა ქალაქ ყვარლის სავიზიტო ბარათად ქცეული ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმისა,მეტად საამაყო წარმოსაჩენია მარჯანიშვილთა სახლ-მუზეუმი, გრემის ნაქალაქარის მუზეუმი (რატომღაც გაუქმებული გრემ-ნეკრესის მუზეუმ-ნაკრძალის მონაცვლე წარმონაქმნი). სწორედ ამიტომ, ყვარლის რაიონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და კულტურის სამსახურის მუშაკები არასდროს უჩიოდნენ ქართველ თუ საზღვარგარეთელ სტუმართა ნაკლებობას.

ამრიგად, ამჟამადაც კი, აღნიშნულ მუზეუმების დათვალიერების შემდეგ, არა გვგონია ყვარლის სტუმარმა აქაური საზოგადოება ქართული კულტურის პროპაგანდისადმი უყურადღებობაში დაადანაშაულოს. მეორე მხრივ, ძალაუნებურად ჩნდება კითხვები: სად უნდა გაეცნონ ყვარლელი მოქალაქეები (განსაკუთრებით ახალგაზრდები) და სტუმრები კომპაქტურად თავმოყრილად, მეცნიერული განმარტებების თანხლებით, ამ რაიონის ათასწლეულების მომცველ ისტორიულ წარსულს, ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, ბუნების მრავალფეროვნებას, თუნდაც რაიონის სხვა გამოჩენილ შვილთა ცხოვრების გზას და დამსახურებას? უცხო თვალისთვის, ნებისმიერი მხარის რეალურად შეცნობა, ტერიტორიის ფეხდაფეხ სრულად შემოვლას თუ არ ჩავთვლით, სწორედ აღნიშნული ტიპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მეშვეობით ხდება. დაინტერესებულ ყმაწვილებს და ტურისტებს იმას ხომ ვერ ვურჩევთ, რომ ილია ჭავჭავაძის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გარდა, დანარჩენი ცნობები ყვარლის რაიონის შესახებ, სადმე სხვაგან, მაგალითად სამეცნიერო-საენციკლოპედიო გამოცემებში თვითონ მოიძიონ.

საზღვარგარეთელი ტურისტების მოსაზიდად, რომ მხოლოდ ჩვენთვის სათაყვანო ილიას თემა საკმარისი არ არის, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება და იმიტომაც ეწყობა ყვარლის მიდამოებში სხვადასხვა ტიპის დასასვენებელ-გასართობი ობიექტები, რესტავრაცია უტარდება ისტორიულ ძეგლებს, ეთნოგრაფიულ და სახასიათო შენობებს, ინერგება „ღვინის ტურიზმი“. ტურისტების რაოდენობის გაზრდის გარეშე კიდევ გაძლებდა რაიონი, მაგრამ მომავალი თაობის ყოველმხრივი განათლება კი უალტერნატივო მიზანია; არადა, მრავალპროფილიან მუზეუმებს მთელ მსოფლიოში, უპირველესად სწორედ მოსწავლეახალგაზრდობის ზოგადი განათლების მისია აკისრიათ – სკოლის მოსწავლეებს გაკვეთილების მნიშვნელოვანი ნაწილი, უკვე დიდი ხანია, რაც მუზეუმებში უტარდებათ.

ამრიგად, თუკი გვინდა, რომ ქალაქმა ყვარელმა მტკიცედ დაიმკვიდროს ადგილი საქართველოს სოციალურად და კულტურულად კარგად განვითარებულ ქალაქთა რიგში, ვფიქრობთ, სავსებით ნათელია, რომ უახლოეს მომავალში ყვარელში შეძლებისდაგვარად სოლიდურ, მიმზიდველ, მრავალპროფილიან მხარეთმცოდნეობით მუზეუმს უნდა ჩაეყაროს საფუძველი – თავდაპირველად თუნდაც მხოლოდ საბუნებისმეტყველო, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სახელოვნებო ექსპოზიციებით.

რა თქმა უნდა, ასეთი მუზეუმის შექმნა სოლიდურ მატერიალურ სახსრებსაც მოითხოვს და არცთუ სწრაფად განსახორციელებელი პროექტია. თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, რომ ნებისმიერი, ამჟამად წარმატებულ მუზეუმში ათწლეულების განმავლობაში ხდებოდა კოლექციების შეგროვება. თუმცა, ისევე როგორც ნებისმიერი საშვილიშვილო საქმეში, აქაც მთავარია მონდომება, სწორად გათვლილი სტრატეგია და საწყისი, ოპტიმალური რესურსი.

საქმის წამოწყებას მეტად კომპეტენტური სპეციალისტები უნდა ჩაუდგნენ სათავეში. ყვარლის რაიონის ბინადარ თუ ამ მხარესთან წარმოშობით თუ ხანგრძლივი სამსახურებრივი ურთიერთობით დაკავშირებულ ბუნებისმეტყველ და ისტორიკოს-ეთნოლოგთა შორის უთუოდ შეიძლება შეიკრიბოს ასეთი ადამიანების ჯგუფი, რომლებიც შეადგენენ მომავალი მუზეუმის დამფუძნებელ საბჭოს (საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას მეც სიამოვნებით მივიღებ). საბჭო შეიმუშავებს დეტალურ გეგმას, თუ რა ფორმით შეიძლება დაფინანსდეს ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე სამუზეუმო გამოფენებისთვის ექსპონატების მოსაპოვებლად ჩასატარებელი არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული ექსპედიციები. რა თქმა უნდა, ამ საბჭოს მიერ შემუშავდება გეგმა განმარტებითი საუბრებისა, რათა ყვარლის რაიონის პატრიოტმა კერძო პირებმა გაიღონ შეწირულობანი მათი პირადი კოლექციების შემადგენელი სამუზეუმო ნივთებისა თუ მატერიალური სახსრების სახით. ასევე შესაძლოა სასურველი ნაყოფი გამოიღოს მოლაპარაკებამ ქვეყნის ცენტრალურ, სახელმწიფო მუზეუმებთან, რათა მათ გამოიჩინონ კეთილი ნება და ექსპონატების გარკვეული, ძირითადად ყვარლის რაიონის ისტორიასთან დაკავშირებული ნაწილი, ზემდგომი ორგანოების თანხმობით, „ბალანსიდან ბალანსზე“ გადასცენ ახლად ჩამოყალიბებულ მუნიციპალურ მუზეუმს. შედარებით უმტკივნეულოდ გადაწყდება ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ადგილობრივ ოსტატთა მიერ დამზადებული საუკეთესო ნიმუშების მოპოვება.

ყვარლის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის ფორმირების საქმის წამოწყებისკენ გადადგმული უმთავრესი ნაბიჯი კი ის იქნება, რომ მოძიებულ იქნას თავდაპირველად თუნდაც არცთუ დიდი ფართობის (მაგ., 4-5 ოთახის შემცველი), სამუზეუმო საქმისთვის გამოსადეგი შენობა და გამოიყოს სახსრები მისი ადაპტირებისათვის სამუზეუმო მიზნებთან; აგრეთვე, აუცილებელია მუნიციპალიტეტმა მოიძიოს თუნდაც 2-3 საშტატო ერთეული სამუზუმო მუშაკთათვის მუზეუმის ფორმირების პერიოდში (შემდგომ, მუზეუმის ფუნქციონირებისას, ცხადია მუზეუმს გაცილებით მეტი მომსახურე პერსონალი ეყოლება, მაგრამ უკვე საკუთარი შემოსავლების ხარჯზე).

რა თქმა უნდა, ყვარლის მუნიციპალიტეტს მთელი აღნიშნული ფინანსების საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფა გაუძნელდება, ამიტომ, რაიონის ხელმძღვანელობამ, მომავალი მუზეუმის დამფუძნებელ საბჭოს წევრებთან ერთად, სასურველია ჩაატაროს ინტენსიური მუშაობა ქვეყნის რეგიონების განვითარების ფონდიდან შესაბამისი თანხების მოსაზიდად. ცხადია, საქმეს დიდად წაადგება საზღვარგარეთულ თუ ადგილობრივ საინვესტიციო ფონდებთან მუშაობა და კულტურის განვითარებისთვის შესაბამისი ფონდებიდან გრანტების მოპოვებაც.

**ნოდარ ბახტაძე**
**პროფესორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ყვარლის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი**



# ჩემი ბავშვობის კერა, ჩემი დედულ-მამული



ამ ორი ლექსით მსურს გამოვხატო ის დიდი სიყვარული, რაც მე ჩემი მშობლიური სოფლის მიმართ გამაჩნია. ლექსი „ჩემს მშობლიურ სოფელ ბალღოჯიანს“, ეძღვნება ყველა ქალბატონს, ვინც ერთი საუკუნის მანძილზე ამ სოფელში აღზრდილა. მეორე ლექსი „პოეტის სული არ დაბერდება!“ ჩემს თანამემამულეს, ავთანდილ გაფრინდაშვილს ვუძღვნი და მისი სახით, ყველას, ვისი საძვალეც სოფელ ბალღოჯიანის ძვალთშესალაგია.

**იზოლდა გოდერძის ასული იოსებიანი**
**საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი, ყვარლის საპატიო მოქალაქე, კულტურის რაიონული სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი**

### ჩემს მშობლიურ სოფელს – ბალღოჯიანს!

ლეგენდების სამყაროს,
მოწიწებით ვეხები.
იფურცლება ამბავი,
ხელის ერთი შეხებით.

დამანახა ბევრი რამ,
ლეგენდასთან შეხებამ.
როგორ გაჭრეს „ბალღოჯი“
იმერელმა გლეხებმა.

ჩადგეს წნულის სახლები,
იმერული ოდები,
ხან ზეიმით ცხოვრობდნენ,
ხან ცხოვრობდნენ გოდებით.

თითქოს, ფრთები შეესხა,
თითქოს, დასახლდა მზესთან,
რადგან იქცა კახეთის,
სოფლად – ულამაზესად!

მის მინდვრებში დავტოვე,
ცისფერთვალა გოგონა,
ეს ცხოვრება სითბო და
სიკეთე რომ ეგონა.

ჩემი ბავშვობის კერა,
ჩემი დედულ-მამული.
არ მშორდება გულიდან,
სიყვარულად ჩაბმული.

იმ კუდრაჭა გოგონას
გულით დიდხანს ვიარე,
გვიან მივხვდი, ცხოვრება,
სულ უტოვებს იარებს!

ბავშვობაში მდელოზე,
მიკრეფია იანი.
ახლაც მეიმედება,
ჩემი ბალღოჯიანი.

ქვეყნად რამდენი ვნახე,
სხვა სოფლები, მზიანი,
მაგრამ ერთადერთი ხარ,
ჩემი ბალღოჯიანი.

წინაპართა საძვალე,
შენს მიწას მივაბარე,
მასთან გულით მოკითხვას,
დილის მზის სხივს ვაბარებ.

მად ვისწავლეთ სიმართლე,
ვინც შენს მკერდზე გავზრდილვართ!
და არც ერთი, ცხოვრებას,
ფეხქვეშ არ ჩავვარდნილვართ!

ეზოებში ვარდი და
კორდზე ყვავის იანი!
მზიანეთი, სავარდე –
– ჩემი ბალღოჯიანი!

### პოეტის სული არ დაბერდება

*(ავთანდილ გაფრინდაშვილს)*

სანამ სული იმას იგრძნობს,
როგორ კვდება სათიბი,
და დაღლილი მიფარფატებს
თოვლისფერი ქათიბით...
სანამ იგრძნობს ფოთლის ტკივილს,
მის დაცემას მიწაზე,
ფერებს როგორ მიმოფანტავს ქარი,
იგრძნობს, იწამებს.
ქუდს მოიქსოვს ყვავილებით,
ჩიტთან გუნდთან იცხოვრებს
და ძველ წიგნში მივიწყებულ
მინდვრის ყვავილს იყნოსებს.
ყურს დაუგდებს წვიმის ჟღურტულს
და სევდიან სალამურს,
შეისუნთქავს ცაცხვის სურნელს
თავბრუდამხვევს, საამურს.
სული როგორ დაბერდება,
გული უდევს ბადახში,
სანამ ტკივილს დაინახავს
გადაცელილ ბალახში...
გული როგორ დაბერდება,
სული ცაში მიქროდეს,
კენტადმავალ ღილილოზე
და ხსვის ცრემლზე ფიქრობდეს.
არა თქვას, რომ არასოდეს
აღარ მოენატრება,
გრძნობა აღარ იფეთქებს
„ქვათახევში ატმებად!“

# ვიდრე გვიან არ არის

ქალაქი ყვარელი უფრო და უფრო მიმზიდველი რომ ხდება ტურისტებისთვის, ეს ისტორიული ძეგლებიდან გამომდინარეა, რომელიც რაიონში მრავლად „არსებობს“ ნეკრესი, მთავარანგელოზი, ნათლისმცემელი, ყვარლის ისტორიული ციხე-გალავანი, და სხვა, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. წარსულიდან გამომდინარე, მათ შეკეთება და შელამაზება რომ სჭირდება, ესეც ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ ზოგჯერ ყურადღებას მოვადუნებთ ხოლმე და ის სილამაზე ჩვენს თვალწინ ინგრევა და იშლება. ასე გამოიყურება დღეს ისტორიული ციხე-გალავანი, ჩვენი ბურჯები, რომელიც რამოდენიმე საუკუნეს ითვლის და მრავალი ბრძოლის მომსწრეა. ლეკთა თარეშის მიერ არაერთხელ განადგურებული, მაგრამ მაინც აღმდგარი. კახელი ხალხი ამ ბურჯებიდან იბრძოდა სწორედ ჩვენი მიწა-წყლის შესანარჩუნებლად. ის დღეს შველას ითხოვს, მისი მარჯვენა მხარის ბურჯი დანგრევის პირასაა და უპატრონოდ გამოიყურება. ისეთ მდგომარეობაშია, შეიძლება მოულოდნელად ვილაცას, გამვლელს ან ავტომობილით მოსიარულეს დაექცეს თავს. შესაბამისი უწყება კი, რომელიც მოვალეა აღადგინოს ციხე-გალავანი აგვიანებს კაპიტალური სამუშაოს დაწყებას. იმედია, საქართველოს ძეგლთა დაცვის სააგენტო გაითვალისწინებს ყვარლელთა თხოვნას და რესტავრირების საშუალებით ძეგლს დაუბრუნებს ისტორიულ სახეს.

**დალი ტატულიშვილი**



# ღვარცოფები, მათი პროგნოზირება და მართვა – ტექნიკური უნივერსიტეტი აქტუალურ პრობლემას საერთაშორისო კონფერენციით ეხმიანება



დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ღვარცოფების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, მოსკოვის ლომონოსივის სახ. უნივერსიტეტის პროფესორის, სერგეი ჩერნომორეცის თქმით, ეს პირველი უდიდესი საერთაშორისო კონფერენციაა, რომელმაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემის ირგვლივ მრავალი ქვეყნის 200-მდე მეცნიერისა და მკვლევარის მობილიზება შეძლო.

„კონფერენციის სახელწოდება მრავლისმეტყველია და კარგად გამოხატავს მსოფლიოს წინაშე მდგარ საფრთხეებსა და გამოწვევებს. დარწმუნებული ვარ, ეს საერთაშორისო ღონისძიება საფუძველს ჩაუყრის არაერთ ახალ იდეას, ახალ პროექტსა და დისკუსიას. ჩვენ, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა გვეძლევა, ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები გავუზიაროთ. რაც მთავარია, სამეცნიერო თვალსაზრისით ჩვენი შეკრება ძალიან საინტერესო იქნება, განსაკუთრებით კი – კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილი გასვლითი სემინარები“, – განაცხადა სერგეი ჩერნომორეცმა.

კონფერეციის გახსნაზე შეკრებილ საზოგადოებას, ასევე, მიმართეს სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფ. გივი გავარდაშვილმა, სორბონის უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, პროფ. ვენსან ჟომელმა, მთის საშიშროებათა და გარემოს დაცვის ჩინეთის აკადემიის ჩუნჩისკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, პროფ. ფანგქ იანგ ვეიმ და UNESCO-ს ექსპერტმა, პროფ. კრისტინ ტოვმასიანმა.

ღონისძიების პირველივე დღეს, ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცა სამეცნიერო ნაშრომთა 700-გვერდიანი ილუსტრირებული კრებული, რომელიც სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ორგანიზებით, კონფერენციის მხარდაჭერის მიზნით გამოიცა.

კონფერენციის მსვლელობის პერიოდში განხორციელდა არაერთი სამეცნიერო აქტივობა, მათ შორის: UNESCO-ს სესია ღვარცოფულ პრობლემებზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღო ღვარცოფების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა და წევრებმა. ასევე, 4-5 ოქტომბერს, კონფერენციის მონაწილეებისათვის მოეწყო პროფესიული ექსკურსია-სემინარი საქართველოს ღვარცოფული ტიპის ისეთ აქტიურ მდინარეებზე, როგორიცაა: დურუჯი, თელავის ხევი, არაგვი და თერგი.

საერთაშორისო კონფერენციამ მუშაობა 5 ოქტომბერს დაასრულა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**



# კონფერენციის მონაწილეებმა მდინარე დურუჯის ხეობა დაათვალიერეს



4 ოქტომბერს ყვარელს კონფერენციის მონაწილეები სტუმრობდნენ, რომელთა შემადგენლობაში 22 ქვეყნის მეცნიერები და მკვლევარები იმყოფებოდნენ.

სტუმრებმა დურუჯის ხეობა დაათვალიერეს, ინახულეს ხერხეულიძის მიერ აშენებული დამცავი კაშხალი, რომელმაც 1949 წლის ტრაგედიის შემდგომ მრავალგზის დაიცვა ჩვენი მშობლიური ქალაქი დურუჯის დამანგრეველი ღვარცოფისგან.

მეცნიერები ასევე დაინტერესდნენ წინასწარი გაფრთხილების თანამგზავრული სისტემის მუშაობით, მოინახულეს ზედა და ქვედა სადგურები, სასიგნალო დანადგარები.

კონფერენციის მონაწილეებს მეგზურობა გაუწია სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გივი გავარდაშვილმა, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს დურუჯის პრობლემების დადებითად გადაწყვეტისათვის.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**





# „ოდეს ყოფილ არს აქამომდე?“... არა ნარკოტიკს, არა ნარკოტიკს, არა და არა!

გადავწყვიტე, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვთქვა ჩემი აზრი მარიხუანას კულტივაციასა და ექსპორტთან დაკავშირებით. ჩემდა უნებურად, გამახსენდა იაკობ ცურტაველის თხზულებიდან „შუშანიკის წამება“ ასეთი ფრაზა: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“, რაც ამ წერილის სათაურად გამოვიყენე, მაგრამ მისი პერიფრაზი კი ასე გავიაზრე: ოდეს ყოფილ არს აქამომდე, ქართველ ხალხს მარიხუანას კულტივაცია, ექსპორტით ეჭამათ პური? ალბათ ზოგიერთი შემომედავება, საქართველო ხომ აგრარული ქვეყანაა, რატომ არ შეიძლება მოვიყვანოთ მარიხუანაო? დიახ, საქართველო არის აგრარული ქვეყანა, მაგრამ იგია ვაზის და ხორბლის, ე.ი. ღვინის და პურის ქვეყანა და არა ნარკოტიკების. პურ-ღვინოა ყველაზე მთავარი ოჯახისთვის, მათი კეთილდღეობისთვის. შავ ღვინოში ჩაყრილი თბილი პურით, რომელსაც ბოლოწო ერქვა, პატარა ბავშვებს ზრდიდნენ. „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“... ხომ ვთხოვთ უფალს. ღვინო კი წმინდა ზედაშეა. ზიარება კი პურისა და ღვინის გარეშე შეუძლებელია. რწმენით მიღების შემთხვევაში ზიარება არის საკურნებელი სულისა და ხორცისა. ამაზე მეტი სიკეთე რა შეიძლება მოგვიტანოს მარიხუანას მოყვანამ და მოხმარებამ, რაც პური-ღვინოს მოაქვს. ნარკოტიკის მომხმარებლებს ფრთები გამოესხმებათ, აქეთ დაგვიწყებენ დამოძღვრას, ხედავთ, რა კარგი ყოფილა მარიხუანა, მედიცინაში გამოიყენებაო. ჩემის ღრმა რწმენით, ბევრი პატარა გაუსინჯავს გემოს ნარკოტიკს, რის შემდეგაც გახდება ნარკოდამოკიდებული. ისედაც მცირერიცხოვანი ერი ვართ და სულ მალე ჩვენივე ქვეყანაში უმცირესობაში აღმოვჩნდებით, თუ უკვე არა ვართ. (დაგვიფაროს ღმერთმა).

ქართველ კაცს ბევრი ჭირვარამისთვის გაუძლია, თუნდაც უახლოეს წარსულს გადავავლოთ თვალი, რომლის თვითმხილველნიც ვართ და საკუთარ თავზეც გვიწვნევია ის გაუსაძლისი დღეები. გაყინული პენსიები, წართმეული ანაბრები, უდენობა, დამშეული პატარები, უწამლოდ გარდაცვლილი ადამიანები და ა.შ. იქამდე მიიყვანეს ადამიანები, რომ ვენახის გაჩეხვა დაიწყეს და საზამთროს მოყვანას, თხილისა და ატმის გაშენებას მიჰყვეს ხელი. ერთიც კარგია და მეორეც, მაგრამ ყურძენს ვერაფერი შეედრება. ვაყენებთ ღვინოს, ვხდით არაყს, წიპწებისგან იხდება ზეთი, ვამზადებთ ჩურჩხელას, რომელიც მაღალკალორიული საკვებია, ამიტომ იყო, რომ ომში მიმავალ ჯარისკაცებს ჩურჩხელას ატანდნენ. მომხვდური მტერი ხომ მაშინვე ვაზის გაჩეხვას იწყებდა. ამ გვიან დროს კი ჩვენი ხელით ავჩეხეთ ვაზი. აქამდე თუ ატამსა და თხილს ვაშენებდით, აღმოჩნდა, რომ მარიხუანას გასაშენებლად გაგვიკაფავს ვაზი.

მივმართავ ჩვენს პოლიტიკოსებს, არ გვინდა ამ გზით ნაშოვნი ფული, არ გვინდა ამ გზით შევსებული ბიუჯეტი, არ გვინდა ამ გზით გაზრდილი ხელფასები და პენსიები, რადგან ეს ყველაფერი გვჭირდება ჯანმრთელი, განათლებული, პატრიოტი, შრომისმოყვარე მომავალი თაობის აღსაზრდელად. მაგრამ თუ ამ შხამით ახალგაზრდობას გამოვაშტერებთ, გამოვადებილებთ, რა თავში ვიხლით ან ფულს, ან კარგ ცხოვრებას.

სამართალდამცავი ორგანოები ხომ აცხადებენ, ჩვენ გავაკონტროლებთო, დღეს, როცა მარიხუანას პლანტაციები არ გაშენებულა, ჩვენდა საბედნიეროდ, გაკონტროლება გიჭირთ, როგორ გააკონტროლებთ თითოეულ ეზოს, თითოეულ ბაღს, თუ კუთხე-კუნჭულს? გთხოვთ ნუ ავიტკიებთ აუტკივარ თავს, როგორც გვიწირია, ისე ვწიროთ, გავაშენოთ ვენახები, მოვიყვანოთ ხორბალი და არა შხამები.

უფლის წყალობით ჩვენი ქვეყანა მდიდარია სასმელი წყლით. ცნობილი მეცნიერები ამტკიცებენ, 1 % წყალი რომ გავიტანოთ იმ ქვეყნებში, რომლებიც სასმელი წყლის დეფიციტს განიცდიან, სწრაფად დადგება ქვეყანა ფეხზე, მცირეწლოვან ბავშვებსაც დაუგროვდებათ ფული ანაბრებზეო. რა ხდება, რატომ არ ვაკეთებთ ამას?

ქართველ კაცს შრომა არ ეზარება, შექმენით სამუშაო ადგილები, დაასაქმეთ ახალგაზრდობა, რომ უსაქმოდ არ იდგნენ ბირჟებზე და იმედგაცრუებულები არ მიეძალნენ ნარკოტიკს. მარტო თბილისში რამდენი ქარხანა იყო: მაუდ-კამვოლის, ჩარხმშენებელი, საავიაციო, ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანი“ და ა.შ. არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც და თვითონ ყვარელშიც. ააშენეთ კომბინირებული საკვების ქარხანა, რომ განვითარდეს მეცხოველეობა და მეფრინველეობა, რომ სხვა ქვეყნებიდან არ შემოგვქონდეს ქათმის გაყინული ბარკლები და კვერცხი. ნუთუ არაფრის გაკეთება აღარ შეგვიძლია ჩვენს მადლიან და ღვთივკურთხეულ მიწაზე? სხვათა ხელის შემყურედ ვიქეცით, როდის მოიღებენ მოწყალებას და გამოგვიგზავნიან ჰუმანიტარულ დახმარებას. სხვების გამოგზავნილი ძონძებით როდემდე უნდა ვიაროთ.

მახსენდება სატელევიზიო გადაცემა, როცა ცნობილმა ექიმმა განაცხადა, არ არსებობს მსუბუქი და ძლიერი ნარკოტიკი, ნარკოტიკი ნარკოტიკიაო. ჩვენი ქვეყნის მოძულეთა აზრით, მარიხუანა უვნებელია. ცნობილი ექიმების აზრით კი ბევრად უფრო მავნებელია, ვიდრე ჰეროინი. უფრო ძნელია მარიხუანას მომხმარებელთა მკურნალობა.

ბატონო ბიძინა, მოგმართავთ თქვენ, ხმა მიაწვდინეთ ჩვენს მთავრობას, რომ ხელი აიღონ ნარკოტიკის მოყვანაზე. მე არ ვეკუთვნი უმადურ ადამინთა კატეგორიას, ძალიან კარგად ვიცი თქვენ მიერ გაკეთებული საქველმოქმედო საქმეები, გავეცანი იმ წიგნსაც, რომელსაც „საქმით ნათქვამი“ ჰქვია, დიდი მადლობა ამ ყველაფრისთვის. მაგრამ ამჯერად უფრო მეტად გვჭირდება თქვენი დახმარება, თორემ დაგველუპება ჩვენი გენოფონდი. მაშინ ვილასთვის ვაშენებთ ეკლესია-მონასტრებს, საკონცერტო დარბაზებს და ა.შ. უცხო ტომელებისთვის, რომლებსაც აღარ უნდათ თავიანთ ქვეყნაში დაბრუნება და ცდილობენ საქართველოს მოქალაქეობა მიიღონ? (იღებენ კიდეც).

ჩვენი სათაყვანებელი, პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას დროს გულშიც ვერავინ გაივლებდა მარიხუანას მოყვანას, არც მსჯელობის საგანი გახდებოდა, არც ნარკოდამოკიდებულები გვეყოლებოდნენ. აქვე გამახსენდა პოეტ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, სადაც წერს: „ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, ისე გავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. რა ზუსტად იწინასწარმეტყველა იმ სულგანათლებულმა, განა ასე არ მოექცნენ ჩვენი ქვეყნის მტრები, ჩვენ პირველ პრეზიდენტს, რომელსაც საქართველო სიცოცხლეზე მეტად უყვარდა. ისიც კი გაჭირდა, რომ ასეთი ღირსეული პრეზიდენტის სახელი მიენიჭებინათ რომელიმე ქუჩისთვის ან მოედნისთვის, მაშინ როცა, უცხო ქვეყნის პოლიტიკოსებს ზოგს ძეგლს უდგამენ, ზოგის სახელობის ქუჩებია თბილისში.

გავიხსენოთ „დიდოსტატის მარჯვენიდან“ გიორგი მეფის სიკვდილის წინა მონოლოგი: „სიმთვრალეში მოვაკვლევინე ფხოველებს დედაჩემის დისწული გირშელ თრიაქით მთვრალმა“. აი, კიდევ ერთი მაგალითი, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მივიდნენ ნარკოდამოკიდებულები.

დროა, ჩემო თანამემამულენო, დავდგეთ ერთმანეთის გვერდით ჩვენი გენოფონდის გადასარჩენად, ჩვენი ხმა მივაწვდინოთ მთავრობას, ხომ ვიცით, რა ძლიერია ხმა ღვთისა და ხმა ერისა და ერთად შევძახოთ: არა ნარკოტიკს, არა ნარკოტიკს, არა და არა!

**დოდო ბიაშვილი**

# ხორცის შენახვის, მოხმარების და არჩევის წესები

ხორცის შენახვისა და მოხმარების, აგრეთვე მისი არჩევის წესები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხორცს იძენთ: ახალდაკლულს (ე.წ. „ორთქლოვანს“), გაციებულს, თუ გაყინულს. ეს წესები მოცემულია ქვემოთ.

თუმცა ზოგადი და მთავარი წესი ასეთია: ხორცი უნდა მიირთვათ მხოლოდ სალი! დაიმახსოვრეთ: გაფუჭებული ხორცის ჭამა ძალზე საშიშია!

ზოგ შემთხვევაში კულინარული დამუშავებით შესაძლებელია გაფუჭებული ხორცის უსიამოვნო გემო და სუნი გადაიფაროს ან შეინიღბოს, მაგრამ ეს არ შეამცირებს მავნე ნივთიერებების მოქმედებას, რომელიც გაფუჭებულ ხორცში გროვდება და რომელმაც უძლიერესი მოწამვლა, აგრეთვე თირკმელების და ღვიძლის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს! არ მოამზადოთ კერძი გაფუჭებული ხორცისგან! არ მიირთვათ კერძი, თუ ეჭვი გაქვთ, რომ იგი გაფუჭებული ხორცისგან არის მომზადებული!



გარდა ამისა, გაითვალისწინეთ, რომ საქონლის ხორცით ადამიანზე შეიძლება გადავიდეს ისეთი დაავადებები, როგორიცაა ტუბერკულოზი, ბრუცელოზი, ციმბირის წყლული, ჯილეხი, თურქული და ხორცის სისხლსა და ქსოვილებში მყოფი პარაზიტები.

ამიტომ დაბეჯითებით გირჩევთ, შეიძინოთ მხოლოდ ისეთი ხორცი, რომელმაც ვეტერინარული შემოწმება გაიარა! დღეს თბილისის სავაჭრო ობიექტებში გასაყიდად მხოლოდ ასეთი ხორცი დაიშვება.

იმედია, მალე ასეთივე მოთხოვნები გავრცელდება რეგიონებშიც. თუმცა, საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა მომხმარებელი კერძო პირებისგან შეუმოწმებელ ხორცს იძენს. ასეთ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ ხორცი დაავადებული ცხოველისგან იყოს მიღებული. ნუ გარისკავთ თქვენს ჯანმრთელობას!

სამწუხაროდ, არის აგრეთვე შემთხვევები, როცა უკონტროლო ადგილებში გასაყიდად არა დაკლული, არამედ საკუთარი სიკვდილით დაღუპული ცხოველის ხორცი გამოაქვთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძინოთ ასეთი ხორცი! პირველ რიგში იმიტომ, რომ დიდია დაავადების შეძენის რისკი. გარდა ამისა, ასეთი ხორცი არ არის დაცლილი სისხლისგან და ამიტომ ძალიან მალე ფუჭდება.

საკუთარი სიკვდილით დაღუპული საქონლის ნიშნებია:

- ჩალურჯებული ადგილები (სისხლისჩაქცევები) ხორცში – ისინი შეიძლება იმის ნიშანი იყოს, რომ ცხოველი ტრამვით დაიღუპა;
- ხორცზე რაიმე საგნის დაჭერისას წარმოქმნილი ორმო სისხლით ივსება – ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ დაკვლის დროს ნაკლავის სისხლისაგან დაცლა არ მომხდარა.

და კვლავ გავიმეორებთ: მართალია ხორცს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ადამიანის კვებაში, მაგრამ მისმა არასწორმა არჩევანმა შესაძლებელია უფრო დიდი ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას, ვიდრე ნებისმიერმა სხვა პროდუქტმა.

ამიტომ გახსოვდეთ:

- არ იყიდოთ ხორცი, რომელსაც გაფუჭების თუნდაც ერთი ნიშანი მაინც აქვს;
- არ იყიდოთ ხორცი, რომელსაც რამდენჯერმე გალღობა/გაყინვის ნიშნები შენიშნეთ;
- არ იყიდოთ ხორცი საეჭვო ადგილებში;
- მოერიდეთ ხორცს, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში მაცივრის გარეშე ინახება;
- ბაზარში ხორცის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ ვეტერინარული სამსახურის ნიშნის არსებობას.



გაუყინავი ხორცის არჩევა

გაყინვა ხორცის ხარისხს მნიშვნელოვნად აუარესებს. ამიტომ, თუ შესაძლებლობა გაქვთ, უმჯობესია გაუყინავი ხორცი შეიძინოთ. ის შეიძლება იყოს ახალდაკლული, ან მომწიფებული.

ახალდაკლული ხორცი რბილი, ნაზი და წვნიანია (თუმცა მისი ნახარში უგემური და მღვრიე გამოდის). სამწუხაროდ ხორცი ძალიან სწრაფად კარგავს ამ თვისებებს – დაკვლიდან 4 საათში იგი იმდენად უხეშდება, რომ თერმული დამუშავებით (მოხარშვით, შეწვით) არ რბილდება. ასეთ შემთხვევაში ხორცი უბრალოდ მაცივარში უნდა შედოთ (არა საყინულეში!) – 1-2 დღეში იგი მომწიფდება, დარბილდება და გემოც და სუნიც გაუმჯობესდება.

როგორც წესი, მაღაზიებში და ბაზარში სწორედ ასეთი – მომწიფებული ხორცი იყიდება. გაითვალისწინეთ, რომ მომწიფებული ხორცი საკმაოდ მალე ფუჭდება – ოთახის ტემპერატურაზე 1-2 დღეში, მაცივარში – 3-4 დღეში. ხორცის გამყიდველი მაღაზია პასუხს აგებს იმაზე, რომ მან მომხმარებელს მხოლოდ სალი ხორცი შესთავაზოს. თუმცა, თუკი თქვენ ხორცს საეჭვო ადგილას ყიდულობთ, ეს რჩევები გამოგადგებათ:

გაუყინავი ხორცი სალია, თუკი მას ყველა ჩამოთვლილი თვისება გააჩნია:

- ხორცის ზედაპირი მშრალია. ანუ ქაღალდის ცხვირსახოცი ან ხელსახოცი ხორცზე დადებით არ სველდება.
- ხორცის კონსისტენცია დრეკადი და ელასტიურია. შეამოწმეთ: თითის დაჭერით ხორცზე უნდა წარმოიქმნას ღრმული, რომელიც მალევე უნდა გასწორდეს;
- ხორცს აქვს ხორცის ამ სახეობისათვის დამახასიათებელი სუნი;
- ხორცის ახალი განაჭერი ზედაპირი სველია, მაგრამ არა წებვადი. ფერი განაჭერზე უნდა იყოს: საქონლის ხორცზე – ღია წითელი ფერიდან მუქ წითლამდე, ხბოს ხორცზე – ბაცი ვარდისფერი, ღორის ხორცზე – ღია ვარდისფერიდან წითლამდე, ცხვრის ხორცზე – წითლიდან შინდისფრამდე.
- ცხიმი არ უნდა იყოს ყვითელი. საქონლის ქონს აქვს თეთრი, კრემისფერი ან მოყვითალო შეფერილობა, მკვრივი ფშვნადი კონსისტენცია, ღორის ქონი რბილია, მისი შეფერილობა შეიძლება იყოს ღია ვარდისფერი ან თეთრი. ცხვრის ქონი თეთრი და მკვრივია.
- მყესები უნდა იყოს ელასტიური და მკვრივი, სახსრების ზედაპირი თეთრი და ბზინვარე.

სამწუხაროდ არის შემთხვევები, როცა ბაზარზე გაყინულ და შემდეგ გამლღვალ ხორცს ახალ ხორცად ასაღებენ.

იმისთვის, რომ არ მოტყუვდეთ, დაიმახსოვრეთ:

- ახალი ხორცისგან განსხვავებით განაყინი ხორცი სველია. მასზე თუ ქაღალდის ცხვირსახოცს ან ხელსახოცს დადებთ, ის დასველდება. როგორც წესი, თუ დააკვირდებით, ხორცის ქვეშ მოვარდისფრო სითხის პატარა გუბურასაც აღმოაჩენთ – გამლღვარ ხორცს სითხე სულ გასდის;
- განაყინი ხორცი ელასტიური არ არის. მასზე თითის დაჭერით წარმოქმნილი ორმო დიდხანს არ ივსება.

გაუყინავი ხორცი სალი აღარ არის (ანუ გაფუჭებულია), თუ შეიმჩნევა ჩამოთვლილიდან რომელიმე:

- ხორცს წებოვანი ზედაპირი აქვს;
- ხორცის ნაჭერზე ხელის დაჭერისას წარმოქმნილი ორმო არ ივსება;
- კუნთოვანი ქსოვილი ადვილად სცილდება ძვალს;
- ხორცი ძალიან მუქი ფერისაა და ქონს მოყვითალო ელფერი დაკრავს (ეს მახასიათებელი ძალიან სანდო არ არის, ვინაიდან ქიმიური დამუშავებით შესაძლებელია ხორცის „გავარდისფრება“. გარდა ამისა, მუქი ფერი ბებერი საქონლის ან ხარის ხორცსაც ახასიათებს);
- ხორცს არასასიამოვნო სუნი აქვს (სამწუხაროდ არაკეთილსინდისიერი გამყიდვლები ახერხებენ ამ სუნის მოსპობას ქიმიური დამუშავებით)

### გაყინული ხორცის არჩევა

როგორც ზემოთ ვთქვით, გაყინული ხორცის გალღობისას მისი კვებითი ღირებულება მცირდება. მაგრამ, სამაგიეროდ, ღრმად გაყინული (მინუს 40Xჩ-მდე) ხორცი 1-2 წელი შეიძლება შეინახოს, – შესაბამისად, იგი უფრო იაფიც ღირს.

თუ გაყინული ხორცის შეძენას აპირებთ, შეიძინეთ იგი გაყინულ, და არა გამდნარ მდგომარეობაში, რადგან განაყინი და გამლღვარი ხორცი ძალზე მალე ფუჭდება. გარდა ამისა, ვინაიდან ყოველი გადნობისას ხორცი საკვები ნივთიერებების მნიშვნელოვან რაოდენობას კარგავს და თანაც წარმოიქმნება მისი მიკრობებით დაჭუჭყიანებისა და გაფუჭების შესაძლებლობა, სასურველია რამდენჯერმე გამლღვარი და ხელახლა გაყინული ხორცი არ შეიძინოთ.

მათ ამოსაცნობათ ამ ხერხს გთავაზობთ:

- დაადეთ თითი გადანაჭერზე 0.5-1 წთ-ით. თუ ხორცი ფერს არ შეიცვლის ე.ი. ის რამდენჯერმე იყო გამლღვალი და გაყინული. ერთხელ განაყინი ხორცი ამგვარი შეთბობითაც კი ფერს იცვლის წარმოიქმნება მკვეთრი წითელი შეფერილობა;
- თუ ხორცი ან შესაფუთი მასალა ვარდისფერი ყინულის კრისტალებით არის დაფარული, ეს ხორცი რამდენჯერმე იყო გამლღვარი და გაყინული.

სამწუხაროდ გაყინული ხორცის სისალის შემოწმება მხოლოდ გალღობის შემდეგ არის შესაძლებელი. ძირითადი მახასიათებელი აქ სუნია-გაფუჭებულ განაყინ ხორცს მძაფრი არასასიამოვნო სუნი აქვს, რომელიც თერმული დამუშავებით (შეწვით, მოხარშვით) კიდევ უფრო ძლიერდება. არასასიამოვნო სუნი აქვს აგრეთვე მის ნახარშსაც.

მაგრამ სანამ ხორცი გაყინულია, ეს სუნი შეიძლება სრულებით არ იგრძნობოდეს! სამწუხაროდ არის შემთხვევები, როცა არაკეთილსინდისიერი გამყიდველები ამით სარგებლობენ – გაფუჭებულ ხორცს ყინავენ და ისე ყიდიან. ამიტომ, გირჩევთ, ნუ შეიძენთ გაყინულ ხორცს შემთხვევით ადგილას. დაიხსომეთ, სად იყიდეთ ხორცი და თუ გალღობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხორცი გაფუჭებული იყო – მომავალში მოერიდეთ იმ მაღაზიაში ამ პროდუქტის შეძენას.

momxmarebeli.ge

# კარტოფილის ხარისხიანი შენახვა – შემოდგომასა და ზამთარში

შემოდგომასა და ზამთარში კარტოფილის ხარისხიანი შენახვა სამ ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებულია: ტემპერატურულ რეჟიმზე, ჰაერის ტენიანობასა და ჟანგბადზე. ეს ფაქტორები უნდა კონტროლდებოდეს შენახვის მთელი პერიოდის განმავლობაში.

კარტოფილის მოსავლის აღების შემდეგ კარტოფილის ტუბერი (ბოლქვი) 40-45 დღის განმავლობაში განაგრძობს დამწიფებას, ამ პერიოდში მოსავლის აღებისას მიყენებული დაზიანება თანდათან ხორცდება, კანი მაგრდება და გემო უმჯობესდება.

ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურა ამ პერიოდში უნდა იყოს 18-19°C, თუმცა შეიძლება (ამინდის გამო) დაეცეს 11-13°C-მდე, ტენიანობა – 90-95%. ამ დროის განმავლობაში სასურსათე კარტოფილი უნდა ინახებოდეს სიბნელეში, ხოლო სათესლე შესაძლებელია შევინახოთ სინათლეზეც.

აღნიშნული პერიოდის ამგვარ პირობებში გავლის შემდეგ, თავს იჩენს ტუბერის (ბოლქვის) ყველა ფარული დეფექტი, ამიტომ ხანგრძლივი დროით შესანახად (დაბინავებამდე) ისინი უნდა გადავარჩიოთ და დაზიანებული და დაავადებული ტუბერები მოვაშოროთ.

სასურსათე კარტოფილის ხანგრძლივი შენახვისათვის საჭიროა უფრო დაბალი ტემპერატურა – 2-3°C, მცირე დროით შენახვისათვის (2-3 თვე) ტემპერატურა შესაძლებელია იყოს უფრო მაღალი, მაგრამ არა უმეტეს 5-7°C.



კარტოფილის ხანგრძლივი შენახვის დროს ტენიანობა უნდა იყოს 85-93%. თუ ტენიანობა უფრო მაღალია, ტუბერი ნაადრევად ლივდება, ხოლო 70% ტენიანობის პირობებში – რბილდება.

ვენტილაცია კარტოფილის ხარისხიანად შენახვის ერთერთი მნიშვნელოვანი პირობაა. უჟანგბადო გარემოში ტუბერი იგუდება და ფუჭდება. ხოლო ჟანგბადის სიმცირისას შავდება რბილობი (პირველ რიგში გული).

ვენტილაციის საშუალებით შესაძლებელია ვარეგულიროთ შენახვისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტორი (ტემპერატურა, ტენიანობა, ჟანგბადი).

ხანგრძლივი შენახვისას კარტოფილის ხარისხზე მოქმედებს ტარა, რომელშიც ტუბერები ინახება. მოსახერხებელია ბადისებრი ტომრები, რომლებშიც კარგად ხდება ვენტილაცია. ტომრები უმჯობესია დავაწყოთ შტაბელებად 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე.

ტუბერები დასველება ხდება მაშინ, როცა ჰაერის ტემპერატურა საწყობში (კარტოფილის თავზე) უფრო დაბალია, ვიდრე შტაბელებად დალაგებული კარტოფილის ფენებს შუა. 1°C სხვაობასაც კი შეუძლია გამოიწვიოს წყლის მნიშვნელოვანი გამოყოფა.

ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კარტოფილის თავზე შევინარჩუნოთ უფრო მაღალი, ხოლო კარტოფილის ფენებს შუა უფრო დაბალი ტემპერატურა, ამასთანავე ტუბერები უნდა დავაწყოთ მცირე პარტიებად.

ზოგჯერ სასურსათე კარტოფილს (მოსავლის აღების შემდეგ) ინახავენ 1-2°C-ზე. მართალია, ასეთი ტემპერატურა აჩერებს სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების განვითარებას, მაგრამ ხელს უწყობს ტუბერებში შაქრების მაღალი შემცველობით დაგროვებას (კარტოფილს აქვს ტკბილი გემო).



ასეთ შემთხვევაში, სასურსათედ ან სარეალიზაციოდ გამოყენებამდე 1-2 კვირით ადრე, საწყობში უნდა იყოს 15-17°C. ასეთი ტემპერატურული რეჟიმის პირობებში დაგროვილი შაქრები გარდაიქმნება სახამებლად და კარტოფილის გემოც აღდგება.

სათესლე კარტოფილის შენახვისას ჰაერის ტემპერატურა ცოტა მაღალი უნდა იყოს, ვიდრე სასურსათე კარტოფილისა.

სხვადასხვა ჯიშებს სხვადასხვა ტემპერატურული რეჟიმი სჭირდება, თუმცა, როგორც წესი, 4-6°C-ზე შენახვა არ აუარესებს თესლის ხარისხს.

agrokavkaz.ge

გამოსათხოვარი – ინდიკო სეფაშვილი

# თავისი შეგნებული ცხოვრება ქვეყნისა და ერის სამსახურს შეალია



არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით წარუშლელ კვალს ტოვებენ საზოგადოებაში. სწორედ ასეთ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება ინდიკო სეფაშვილი, შესანიშნავი პიროვნება და ღირსეული მოქალაქე, ვისი დავიწყებაც შეუძლებელია, ხოლო მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა – სანიმუშო და შეუფასებელი. კაცი, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის სამშობლოზე და ხალხზე, თავის საფიცარ ყვარელზე.

დაიბადა 1931 წლის 21 მაისს. 1951 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა ყვარლის პირველი საშუალო სკოლა, რის შემდეგაც, 1951-1956 წლებში სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1980 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და მოიპოვა დოცენტის ხარისხი.



ინდიკო სეფაშვილი ჩვენს ხსოვნაში დარჩა როგორც დიდად განსწავლული, ერუდირებული, გულანთებული პატრიოტი, გამორჩეული განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით, პროფესიონალიზმით, კეთილსინდისიერებითა და ენციკლოპედიური ცოდნით. დაუდეგარი და ბობოქარი ხასიათის პიროვნება, ამავე დროს, ყველა ადამიანური სიკეთით იყო შემკული და გასაოცარი სიალალით და სითბოთი გამოირჩეოდა. სწორედ ასეთი ადამიანური თვისებები გამოარჩევდა მას სხვებისაგან და ამიტომაც სარგებლობდა საზოგადოებაში უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით, ხოლო რაიონის მოსახლეობაში განუზომელი ავტორიტეტით.

მრავალმხრივი და შინაარსიანი გახლდათ მისი მოღვაწეობა რაიონის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს კომკავშირის ყვარლის რაიკომის ინსტრუქტორად, შემდეგ მეორე მდივნად. მალე გადაყავთ პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად, პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგედ. 1964-1975 წლებში მუშაობდა შილდის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ხოლო 1975-1982 წლებში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სკკპ ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებლად და დოცენტად. 1982-1985 წლებში ბრუნდება სამეურნეო სამუშაოზე – ბალოჯიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე, ხოლო 1985-1988 წლებში ყვარლის „ქინძმარაულის" მევენახეობის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორია. 1988-1992 წლებში, პენსიაზე გასვლამდე, იგი კვლავ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტია.

სადაც არ უნდა ემუშავა, ინდიკო სეფაშვილი გამოირჩეოდა მასშტაბური აზროვნებით, ენერგიული და გაბედული მოქმედებით, სიახლისაკენ მუდმივი სწრაფვით. განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ იგი რაიონის ისტორიას შემორჩა,როგორც ერთ-ერთი უძლიერესი და წარმატებული სამეურნეო მუშაკი, სოფლის მეურნეობის დარგის გამორჩეული ხელმძღვანელი. იგი თერთმეტი წლის განმავლობაში ედგა სათავეში შილდის კოლმეურნეობას – რაიონის უმსხვილეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოს და მისი მოღვაწეობის პერიოდში შილდის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე გახლდათ საქართველოში, როგორც მევენახეობის, ისე მეცხოველეობისა და მარცვლეული კულტურების წარმოების დარგში. სწორედ ამ პერიოდში განსაკუთრებულად წარმოჩინდა ინდიკო სეფაშვილის ორგანიზატორული ნიჭი და საქმიანი თვისებები, რაც სათანადოდ იქნა დაფასებული საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის მხრიდან: დაჯილდოებული იქნა იმ დროისათვის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი – ლენინის ორდენით, მიიღო შრომის წითელი დროშის ორდენი, მრავალი მედალი და დიპლომები. 1966-1970 წლებში არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, არაერთგზის გახლდათ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამართული ყრილობებისა და სხვადასხვა ფორუმების დელეგატი. იყო ყველა დონეზე ცნობილი და დაფასებული პიროვნება მთელ საქართველოში. ჰყავდა უაღრესად ფართო სამეგობრო წრე. ნიშანდობლივია, რომ მის უახლოეს მეგობართა წრეში მოიაზრებოდნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორიც იყვნენ დიდი ქართველი მწერალი გურამ ფანჯიკიძე, პოეტი ფრიდონ ხალვაში, სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე ვახტანგ ბალავაძე.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ შილდაში ინდიკო სეფაშვილის მოღვაწეობის პერიოდი გახლდათ ჭეშმარიტი შენების წლები, როცა განახლდა სოფლის გზები და განვითარდა ინფრასტრუქტურა, საფუძველი ჩაეყარა მრავალ სასიკეთო წამოწყებას და საფუძვლიანად იცვალა სოფელმა სახე.

მისი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებიდან ძალზე ბევრი რამის გახსენება შეიძლება. როგორც გულანთებული პატრიოტი და ჭეშმარიტი მამულიშვილი, იგი გახლდათ 1956 წლის 9 მარტის ცნობილი მოვლენების აქტიური მონაწილე, როცა ქართველთმოძულე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ დიდი სტალინის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას ქართველმა სტუდენტებმა და ახალგაზრდობამ თბილისში საპროტესტო დემონსტრაციებით და იმ დროისათვის უპრეცედენტო პოლიტიკური მოთხოვნებით უპასუხეს. ის სისხლიანი 9 მარტი სამარცხვინო ფურცლად შემორჩა ისტორიას. რეპრესიებში მრავალი სტუდენტი მოჰყვა. როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი, ინდიკო სეფაშვილიც დააპატიმრეს და გარკვეული პერიოდი გაატარა სუკ-ის იზოლატორში. გამოძიება საკმაოდ მძიმე მუხლით მიმდინარეობდა და 10 წლიანი პატიმრობაც ემუქრებოდა. თუმცა ამ ისტორიას ერთობ პიკანტური დასასრული ჰქონდა: გამომძიებელი, რომელიც ინდიკო სეფაშვილის საქმეს იძიებდა, ბედად გორელი კაცი აღმოჩნდა, რომელიც თურმე თავადაც არ გახლდათ გულგრილი სტალინის პიროვნების მიმართ და ამ მართლაც კეთილშობილმა ადამიანმა მას თავისუფლება აჩუქა. ეს ერთობ ხიფათიანი, მაგრამ ამავე დროს ძალზე პატრიოტული ეპიზოდია მისი ცხოვრებიდან, რითაც იგი ყოველთვის სამართლიანად ამაყობდა!

გვახსოვს სხვა ეპიზოდებიც, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს ინდიკო სეფაშვილის პიროვნულ ღირსებებს, მის პატრიოტულ სულისკვეთებას და გულისხმიერ დამოკიდებულებას ეროვნულ ღირებულებათა მიმართ. ამ მიმართულებით მისი სამოქმედო არეალი ფრიად ფართო დიაპაზონს მოიცავდა.

რად ღირს თუნდაც იმის გახსენება, რომ 1970 წელს, როცა შილდის კოლმეურნეობის ბაზაზე რაიონის ფრენბურთელთა გუნდი ჩამოვაყალიბეთ, მისი შეფობა ინდიკო სეფაშვილმა იკისრა და რამდენიმე წლის განმავლობაში გუნდი სწორედ მისი თანადგომითა და პატრონაჟით ასპარეზობდა. ეს გუნდი ერთ-ერთი უძლიერესი და გამორჩეული რომ გახდა საქართველოში, ამაში ფასდაუდებელი წვლილი, სხვებთან ერთად, მასაც მიუძღოდა.



სანიმუშო და მისაბაძი გახლდათ ინდიკო სეფაშვილის დამოკიდებულება ქართული ფოლკლორული სიმღერების მიმართ. შილდაში მოღვაწეობის პერიოდში, მას არასოდეს დავიწყებია, რომ დედას ლევანას მშობლიურ სოფელში მუშაობდა და სწორედ ამის გათვალისწინებით კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებული ჰყავდა მომღერალთა გუნდი, რომლის ხელმძღვანელადაც მიიწვია ჯემალ ბუჩხრიკიძე და ეს მომღერალთა გუნდი წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე!

კიდევ ერთი დასამახსოვრებელი მომენტი მისი საქმიანობიდან უკვე ყვარელს და დედა-ბუნებას ეხება. „ქინძმარაულის" მეურნეობის დირექტორად დანიშვნის პირველივე დღეებიდანვე, მისი უშუალო ინიციატივით, მეურნეობის მთელი ტერიტორია ადგილობრივი მნიშვნელობის ნაკრძალად გამოცხადდა და ხოხობზე ნადირობა აიკრძალა. მეურნეობის მთელ ტერიტორიაზე განთავსდა ბანერები ამ აკრძალვის თაობაზე. მართლაც, მთელი ოთხი წლის განმავლობაში ტერიტორია დაცული იყო და ხოხობი ისე გამრავლდა, თავი ზოოპარკში გეგონებოდათ. ყვარელში ალბათ ბევრს დღესაც კარგად ახსოვს ეს ღირსსახსოვარი პერიოდი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ინდიკო სეფაშვილმა თავისი შეგნებული ცხოვრება ქვეყნისა და ერის სამსახურს შეალია. რაოდენ დასანანია, რომ იგი უკვე აღარ არის ჩვენს გვერდით. ამ ცხოვრებიდან წავიდა ადამიანი, რომლის პიროვნებაში შერწყმული იყო დიდი ნებისყოფა, უსაზღვრო ენერგია და ბობოქარი სული. გახლდათ მეგობრების დიდად მოსიყვარულე, ქართული ადათწესებისა და მამა-პაპური ტრადიციების მიმდევარი და ძალზე სტუმართმოყვარე კაცი, რომელმაც სიკვდილამდე უშურველად ატარა მშობლიური და საფიცარი ყვარლის სიყვარული.

კიდევ ერთი ღირსეული კაცი დააკლდა ჩვენს საზოგადოებას, ყვარელს და არა მხოლოდ ყვარელს, არამედ საერთოდ, საქართველოს!

თავს ბედნიერად ვთვლით, რომ წლების განმავლობაში მისი მეგობრობა და მასთან ნათელი ურთიერთობა გვხვდა წილად!

კაცურად იცხოვრა ამ ქვეყანაზე, კაცურად გაიარა გზა წუთისოფლის დასასრულამდე, უამრავი ადამიანის სიყვარული და ცრემლების ზღვა გაიყოლა მარადიულ სასუფეველში.



წავიდა თავის დიდ ტკივილთან, თავის მერცხალივით ბიჭთან – სოსოსთან!

„ვისაც უნდა, რომ ღმერთი ასახელოს და ადიდოს, იმან ორი სახელი უნდა იქონიოს: ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაღები" – ბრძანებდა ჩვენი სასიქადულო წინაპარი, დიდი ილია!

ინდიკო სეფაშვილმა ერთიც შეძლო და მეორეც. ამიტომ მის შვილებს, შვილიშვილებს, მთელ მის შთამომავლობას და ახლობელთა წრეს შეუძლიათ კანონიერად იამაყონ მისი სახელით.

დიდი მადლობა, ჩვენო ინდიკო, კარგი მამულიშვილობისათვის, ვაჟკაცობისათვის, სილამაზისა და ნიჭიერებისათვის, მეგობრობისათვის, წლების განმავლობაში გაწეული ღვაწლისათვის.

გემშვიდობებით და გვინდა გვჯეროდეს, რომ სიკვდილით არ მთავრდება ყველაფერი, სიკვდილით სიცოცხლე ფასობს მხოლოდ!

ამიტომაც არასოდეს დაგვავიწყდებით...

**უახლოესი მეგობრების სახელით**
**ალიმან ლაფაჩიშვილი,**
**ანგი გავაშელიშვილი,**
**ალექსანდრე გიგილოშვილი,**
**ზაურ ჩახნაშვილი**



# სტევიას წარმოების პოტენციალი საქართველოში

სტევიას გამოყენება კვების მრეწველობაში სულ უფრო მეტად მიმზიდველი ხდება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ბუნებრივი დაბალკალორიული დამატკბობელის, სტევიას ბიოლოგიური მახასიათებლები, მისი უპირატესობები და წარმოების პოტენციალის საკითხები განიხილეს.

შეხვედრაზე სტევიას მოყვანის ტექნოლოგიური ინსტრუქცია პროფესორმა ალეკო კალანდიამ წარმოადგინა, რომლის განცხადებითაც, მცენარეს არაერთი უპირატესობის გათვალისწინებით, მისი გამოყენება კვების მრეწველობაში სულ უფრო მეტად მიმზიდველი ხდება.

სტევია დაბალკალორიული მცენარეა, რომელიც არ შეიცავს ნახშირწყლებს, გაცილებით ტკბილია, ვიდრე სუფრის შაქარი და მისი მიღება დაშვებულია დიაბეტით დაავადებული ადამიანებისთვისაც.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ესწრებოდა, რომელმაც სტევიას სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე, შესაბამის სამსახურებს მცენარის მოვლა-მოყვანის ხელშემწყობი პროგრამის შემუშავება დაავალა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი რევაზ ასათიანი და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე ესწრებოდნენ.

რა არის სტევია?

პარაგვაის უნივერსიტეტში ჩაატარეს კვლევა და დაადგინეს, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას არ აწუხებს გაცხიმოვნება და შაქრიანი დიაბეტი, რადგან თითოეული მცხოვრები წელიწადში 10 კილოგრამამდე სტევიას მოიხმარს.

სტევია (ლათინურად Stévia) თაფლოვანი, ანუ ტკბილი მცენარეა. ის ასტრასებრთა, ან რთულყვავილოვანთა ოჯახის წარმომადგენელია, აქვს დაახლოებით 260 ბალახისა და ბუჩქის სახეობა. გავრცელებულია სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში.

სტევია პირველად მე–16 საუკუნეში გამოიკვლია ექიმმა და ბოტანიკოსმა სტევუსმა, რომელიც ვალენსიის უნივერსიტეტში მუშაობდა. სწორედ მისი გვარიდან მიიღო დასახელება ამ მცენარემ.

თანამედროვე ბრაზილიისა და პარაგვაის ტერიტორიაზე გუარანის ტომის ინდიელები ასწლეულების განმავლობაში იყენებდნენ სტევიის ზოგიერთ სახეობას საკვებში, ანუ ტკბილი ბალახს ეძახდნენ და გარდა საკვების დატკბობისა, სხვადასხვა დაავადების, მათ შორის გულმკერდის სამკურნალოდ იყენებდნენ.

1931 წელს ფრანგმა ქიმიკოსებმა ბრიდელმა და ლავიემ სტევიიდან გამოყვეს გლიკოზიდები, რომლებიც მცენარეს ტკბილ გემოს აძლევენ. ექსტრაქტები, რომლებსაც ეწოდა სტევიოზიდები და რებაუდიოზიდები (საქაროზაზე 250–300–ჯერ უფრო ტბილი აღმოჩნდა. ის არ მოქმედებს სისხლში გლუკოზის რაოდენობაზე და, ამდენად, დიაბეტით დაავადებულებისთვის მისი მიღება რეკომენდებულია.

სტევია განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო პერიოდში. მეცნიერებმა მასზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს დაბალნახშირწყლოვანი და დაბალშაქრიანი დიეტების მოთხოვნილებასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ შაქარი ნახშირწყლებია, რომლებსაც ორგანიზმი წამიერად შთანთქავს, ხოლო ზედმეტს – ცხიმებად აქცევს და ადამიანის სიმსუქნესა და გაცხიმოვნებას იწვევს. დანიელმა დიეტოლოგებმა შაქარი უკვე დიდი ხანია „მსუბუქი" ნარკოტიკების რიგს მიაკუთვნეს, რადგან აქვს ორმაგი ეფექტი: ა) ტკბილი გემო ენდორფინების (სიხარულის ჰორმონები) გამომუშავებას ასტიმულირებს; ბ) შაქარი ორგანიზმის სისტემაში იმგვარად „ეწყობა", რომ მისი მოხმარების მეტ სურვილს იწვევს. თან, შაქარი სოკოებისა და პარაზიტების „საყვარელი" საკვები გარემოა.

საქართველოში სტევია ახლა იხვეჭს პოპულარობას, მაგრამ შაქრის შემცვლელის სახით ფართოდ გამოიყენება იაპონიაში, აშშ-სა და კანადაში მას საკვების დანამატის სახით ხმარობენ. /

1970-იანი წლების დასაწყისში იაპონელებმა დაიწყეს სტევიას კულტივირება, როგორც ხელოვნური დამატკბობლების – ციკლამატისა და საქარინის ალტერნატივის. სტევიის კომერციული გამოყენება იაპონიაში 1977 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. მას იყენებენ სასურსათო პროდუქტებში, უალკოჰოლო სასმელებში. სტევიის მთელი ბაზრის 40% სწორედ იაპონიაზე მოდის.

ამჟამად სტევია მოჰყავთ და კვების პროდუქტებში აქტიურად იყენებენ აღმოსავლეთ აზიაში, მათ შორის ჩინეთში, კორეაში, ტაივანში, ტაილანდსა და მალაიზიაში, ასევე სენ–კიტსისა და ნევისში, ბრაზილიაში, პარაგვაიში, ურუგვაიში, ისრაელში, უკრაინაში და რუსეთის სამხრეთით.

სტევიის ღეროს სიმაღლე 60–დან 100 სანტიმეტრამდე მერყეობს. მასზე განთავსებულია პატარა მრავალრიცხოვანი ფოთლები. თითოეული ბუჩქი 600–დან 1200–მდე ფოთოლს იძლევა.

ამ მცენარის მთავარი სიტკბო სწორედ ფოთოლშია თავმოყრილი – 10–15-ჯერ მეტი სიტკბო, ვიდრე საქაროზაში. ეს აიხსნება მის ნივთიერებებით, რომლებიც არის მხოლოდ ამ მცენარეში და არსად სხვაგან. ესენია დიტერპენული გლიკოზიდები, რომელთაგან მთავარია სტევიოზიდები და რებაუდიოზიდები. სტევიისგან მიღებული ტკბილის შეგრძნება ნელა დგება, მაგრამ უფრო დიდხანს გრძელდება. ამასთან სტევიის ტკბილ ნივთიერებებს პრაქტიკულად ნულოვანი კალორიულობა აქვს.

**სტევიის უპირატესობებია:**

• 150–300–ჯერ მეტად ტკბილია შაქარზე;

• აქვს პრაქტიკულად ნულოვანი კალორიულობა. მაგალითად, 100 გრამ შაქარში 387 კ/კალორიაა, ხოლო 100 გრამ სტევიაში (მშრალ ბალახში) – 18 კ/კალორია, ანუ 21,5-ჯერ ნაკლები. მშრალ ექსტრაქტში – დაახლოებით 0 კ/კალორია;

• 100%-ით ნატურალური პროდუქტია;

• შაქრისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ბაქტერიებისა და პარაზიტების საკვებს, არამედ პირიქით, გამოირჩევა სოკოსა და ბაქტერიების საწინააღმდეგო აქტიურობით;

• არ იწვევს ინსულინის აქტიურ გამოყოფას, რადგან არ ცვლის სისხლში გლუკოზის დონეს, პირიქით, მის ნორმალიზებას უწყობს ხელს;

• არ ვნებს ორგანიზმს დიდი ხნის განმავლობაში გამოყენებისას (ამაზე მეტყველებს გუარინის ტომის ათასწლოვანი პრაქტიკა, ასევე იაპონიაში ჩატარებული ძალზე სერიოზული კვლევები);

• კარგად იხსნება წყალში;

• მდგრადია მაღალი ტემპერატურისა და ტუტეების მიმართ, რაც კულინარიაში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა;

• დაბალი დოზირება, რადგან სიტკბოს მაღალი კოეფიციენტი აქვს.

საპონინების შემცველობის წყალობით სტევიას ასევე აქვს ჰომეოპათიური მოქმედება, აძლიერებს კუჭის სეკრეციას, რაც თავის მხრივ ყველა ჯირკვლის სეკრეციას აძლიერებს. აქვს მსუბუქი შარდმდენი მოქმედება, აუმჯობესებს მდგომარეობას კანის დაავადებების დროს, ასევე აქვს ეფექტი რევმატიზმის დროს; კარგია შეშუპებისას, ახასიათებს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება და ხელს უწყობს ორგანიზმში სხვა სასარგებლო ნივთიერებების უკეთ ათვისებას.

პარაგვაის უნივერსიტეტში ჩაატარეს კვლევა და დაადგინეს, რომ პარაგვაის მოსახლეობას არ აწუხებს ისეთი დაავადებები, როგორიცაა გაცხიმოვნება და შაქრიანი დიაბეტი, რადგან თითოეული მცხოვრები წელიწადში 10 კილოგრამამდე სტევიას მოიხმარს.

**სტევია:**

• ამცირებს სისხლში შაქრისა და ცუდი ქოლესტერინის დონეს;

• აუმჯობესებს, აღადგენს ქსოვილებს, უჯრედებს;

• სტევიას აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს კიბოს უჯრედების განვითარებას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება;

• ხელს უწყობს სისხლძარღვების გამაგრებას, არტერიული წნევის ნორმალიზებას;

• დადებითად მოქმედებს ღვიძლსა და კუჭქვეშა ჯირკვალზე;

• ახორცებს წყლულებს კუჭსა და ნაწლავებში;

• აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ებრძვის ჭარბწონიანობის, შაქრიანი დიაბეტის, პანკრეატიტის, ათეროსკლეროზის განვითარებას;

• სტევიოზიდის გამოყენებით მცირდება მიდრეკილება ალკოჰოლისა და თამბაქოს მიმართ;

• ებრძვის პარაზიტების განვითარებას;

• აჩერებს კარიესის განვითარებას;

• შესანიშნავი საშუალებაა ბრონქიტის წინააღმდეგ;

• აუმჯობესებს თმის, კანის, ფრჩხილების მდგომარეობას;

• ამაღლებს იმუნურ სისტემას;

• წონაში დაკლებაში ეხმარება.

სტევიასთან დაკავშირებით არსებობდა მეცნიერების მოსაზრებები, რომ ზოგიერთ ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად იმოქმედოს, თუმცა, საბოლოოდ, სტევიის ნეგატიური ზემოქმედება არ დამტკიცდა.

სტევია საქართველოში გასული საუკუნის 80-იან წლებში უკრაინიდან შემოვიდა. მისი შემოტანისა და საქართველოში გავრცელების შესახებ გაზეთ „კვირის პალიტრასთან" საუბარში ანასეულის სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერიან ცანავამ განაცხადა, რომ ინსტიტუტი განაგრძობს ამ უნიკალურ მცენარეზე მუშაობას და მას რამდენიმე მეცნიერი იკვლევს. მისი განცხადებით, ინსტიტუტის „დანგრეულ და გაყინულ" ლაბორატორიაში უმარტივესი მეთოდით სტევიისგან სტევიოზიდის სუფთა კონცენტრატი მიიღეს, რაც ნიშნავს, რომ სტევიას მოაშორეს სპეციფიკური გემო და მიიღეს აბსოლუტურად ტკბილი, უვნებელი შაქარი მაშინ, როდესაც ამისთვის უცხოეთში მაღალ ტექნოლოგიებს იყენებენ.




# გამოსათხოვარი

## ნუგზარ ქოჩორაშვილი

**მონატრებული ძმის მონატრება**



ნუგზარი, (ნუგო), დიდო ტკივილო, მოუშუშებელო და მოურჩენელო.

საყვარელო, წარსულში ვერ ვფიქრობთ შენზე. ყოველთვის გვემახსოვრები ისეთი, როგორიც წახვედი. ისევ ისე დაგირეკავთ და უპასუხებ „პრივეტ".

განუკურნებელმა სენმა გძლია ძმაო. თურმე როგორი ყოფილხარ, და – ძმას გული არ გვატკინე. როგორ გიჭირდა, როგორ გტკიოდა, როგორ იბრძოდი, ჩვეული ხალისით გვესაუბრებოდი.

მე და თემოს დაგვიტოვე ტკივილი მონატრებისა, ტკივილი სულისა. იქნებ ჩვენი გვერდით ყოფნა გაგაძლიერებდა, ვინ იცის რამდენჯერ გვინატრე, ვინ იცის...

სანამ ჩვენ ამ ქვეყანაზე ვიქნებით, ყოველთვის შენ პირველი იქნები, ჩვენი უფროსი ძმა.

აკი შენი მონატრებითა და ნახვის ტკივილით დალიეს სული ჩვენმა მშობლებმა. ახლა ერთად ხართ, დედა მოგივლის, რისი შესაძლებლობაც ჩვენ არ მოგვეცა.

ძმაო, უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი, სადაცა მართალნი განისვენებენ.

შენი სურვილით სამშობლოს მიწას შეუერთდა შენი მართალი სული და სხეული. ჩვენ კი დაგვიტოვე მონატრებული ძმის მონატრება... ჩვენო საყვარელო ძმაო, ნუგზარ, (ნუგო).

შენზე უზომოდ შეყვარებული და მონატრებისგან გულდათუთქული შენი და-ძმა

**ნინო და თემო**

## ირაკლი მირზიკაშვილის მონატრება



17 სექტემბერს შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. შენი სიკვდილი მეხის დაცემა იყო ჩემო ძმაო ჩემთვის და საყვარელი ყვარლელებისთვის. თვალცრემლიანი გავყურებ გზას იმ იმედით, რომ მოხვალ და გამახარებ, მაგრამ ვაი, რომ ეს არ მოხდება. ეს ხომ მწარე მონატრებაა.

30 სექტემბერი შენი დაბადების დღე იყო. ამ წუთისოფელში შავად დაიკეცა შენი სიცოცხლის 71 წელი. მოვედით ჯვარპატიოსნის ეკლესიაში, სადაც შენ განისვენებ, (ეკლესია ხომ შენ აღადგინე), მოგიტანეთ ყვავილები და ბევრი ცრემლები, შენმა დამწუხრებულმა დაძმამ და ახლობლებმა.

საყვარელო ძმაო, აგინთეთ სანთლები და უფალს შევსთხოვეთ შენი სიკეთეებით დაფენილ გზაზე ია და ვარდი გეფინოს, ნათელი დაუმკვიდროს შენს სპეტაკ სულს მარადიულ სასუფეველში.

**შენი და მარინე**

**50-60-იანი წლების ვეტერანი ფეხბურთელები ომარ სეფაშვილი, გოგია მოლაშვილი, თამაზ ჩიტრეკაშვილი, ალიმან ლაფაჩიშვილი, გივი ნერსეზაშვილი, გივი მირიანაშვილი, ზაურ ჩახნაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ყვარლის „დუდჯის" ფეხბურთელთა გუნდის ცნობილი მეკარე, ღირსეული მოქალაქე და ძვირფასი მეგობარი კაკო იორდანეს ძე სეფაშვილი და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# აქვეითებს ქოლესტერინის დონეს, უხდება ვენებს

გულისა და სისხლძარღვებისთვის ყველაზე სასარგებლო სასმელია პომიდვრის წვენი. ის აქვეითებს შაქრის დონეს სისხლში, რის გამოც მას ოფიციალურად უნიშნავენ შაქრიანი დიაბეტით და სიმსუქნით დაავადებულ პირებს, როგორც დიეტის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს.

პომიდვრის წვენი მდიდარია ბეტა-კაროტინით (პროვიტამინი A), C, PP, და E ვიტამინებით. შეიცავს აგრეთვე რკინას, სპილენძს, კალციუმს, კალიუმს, ქრომს, ფტორს, მანგანუმს, სელენს, მოლიბდენს, ნიკელს, გოგირდს, ქლორსა და ბრომს. მინერალებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ეს ნაკრები მართლაც უნიკალურია, რადგან თითოეული მათგანი აუცილებელია ორგანიზმისთვის. საკვებ რაციონში პომიდვრის წვენის რეგულარულად ჩართვა მთელი რიგი დაავადებების არიდებას უზრუნველყოფს,

მათ შორის ავიტამინოზებსა და ნივთიერებათა ცვლის მოშლას.

დასახელებული სასმელი აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. ის დიდი რაოდენობით შეიცავს უჯრედისს, რომელიც აუმჯობესებს საკვების მონელებას. პომიდვრის წვენში უხვადაა B მეექვსე ვიტამინი, რომელიც განამტკიცებს სისხლძარღვთა კედლებს, შესაბამისად, ეს სასმელი ამცირებს თრომბოზების განვითარების რისკს. მისი დალევა რეკომენდებულია ვენების ვარიკოზული დაავადების, სტენოკარდიისა და ჰიპერტონიის დროს, ასევე მიოკარდიუმის ინფარქტის გადატანის შემდეგ.

პომიდვრის წვენი რეკორდული რაოდენობით შეიცავს ლიკოპინს, რომელიც ერთ-ერთი მძლავრი ანტიოქსიდანტია. ეს ნივთიერება აფერხებს დაბერების პროცესს, აუმჯობესებს ორგანიზმის დამცველობით მექანიზმებს და ამცირებს სიმსივნური დაავადების განვითარების რისკს.

mkurnali.ge



# სიახლე ბაგა-ბაღებში

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ინიციატივით საბავშვო ბაღებში თანამშრომლებს — მზარეულებს, მზარეულების თანაშემწეებს, ექთნებს და მეანებს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით გადაეცათ ტანსაცმლის სამუშაო ფორმები.





# ბალღოჯიანელებმა 100 წლის იუბილე იზეიმეს

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე





# ევროპული კვირეული წარმატებით დასრულდა



23 სექტემბერს „ილიას ტბის“ ღია სპორტულ კომპლექსზე სტარტი აიღო სპორტის ევროპულმა კვირეულმა, რომელშიც ყვარლის მუნიციპალიტეტის ორასამდე ახალგაზრდა მონაწილეობდა.

შეჯიბრებები გაიმართა სპორტის ოთხ სახეობაში და 30 სექტემბერს მოხდა გამარჯვებული სპორტსმენებისა და გუნდების დიპლომებითა და ქების სიგელებით დაჯილდოება.

ფრენბურთში პირველი ადგილი არავის დაუთმო საბუის ვაჟ-ფრენბურთელთა გუნდმა, ხოლო გოგონებში ახალსოფლელმა ფრენბურთელებმა.

მინი ფეხბურთში ჩემპიონი გახდა ყვარლის მეორე საჯარო სკოლის ფეხბურთელთა გუნდი, ხოლო მეორე ადგილი ენისლის საჯარო სკოლის ფეხბურთელებმა დაისაკუთრეს.

1000 მეტრიან დისტანციაზე სირბილში ვაჟებიდან პირველი ადგილი სანდრო კიკნაძემ აიღო, ხოლო მეორე ადგილი წილად ხვდა დაჩი სანადირაძეს.

800 მეტრიან დისტანციაზე სირბილში პირველი ადგილი თამარ ხეჩიაშვილმა, ხოლო მეორე ადგილი მარიამ ხახუტაშვილმა მოიპოვა.

მაგიდის ჩოგბურთში პირველობა არავის დაუთმეს ენისლელმა ახალგაზრდებმა – პირველი ადგილი ლუკა მინდიაშვილმა, ხოლო მეორე სანდრო ახმეტელაშვილმა დაისაკუთრა.

**ალეკო ქაფიანიძე**





გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ლონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86